# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 19 სექტემბერი 2005 №214 (2537) ფასი 50 თეთრი


# ტალონის რატიფიკაცია

## საქართველომ და წინამძღვრიშვილმა ყველას გაასწრეს



რატი წინამძღვრიშვილი (№10) ოთხი გოლით ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა

# შოთა გოლახდილია: ცხრა ხუთ თამაშში




შოთა არველაძემ გუშინ თავის ყოფილ გუნდ ამსტერდამის „აიაქსს“ ორი გოლი გაუტანა და მისი „ალკმაარიც“ კვლავ ლიდერობს ერედივიზიონს.

— მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჩემ ყოფილ აიაქსელ თანაგუნდელს და ახლა „აიაქსის“ მწვრთნელ დენი ბლინდს უთქვამს, მოხარული ვარ, არველაძე ასე კარგად რომ თამაშობს, ის მართლაც ძლიერი ფორვარდიაო და იქვე მყოფ ლუის ვან გაალსაც მაშინვე დაუმატებია, შენ მარტო არ ხარ, მეც ასე ვფიქრობო — გვითხრა არველაძემ გუშინ, სატელეფონო საუბარში.

— „აიაქსის“ 4:2 დამარცხება ალბათ, ძალიან ძნელი იყო...

— თანაბარი თამაში იყო, ვან გაალი კი მართლაც მაგარია, შესვენებაზე ისე გაარჩია თამაში და ისეთი დავალებები მოგვცა, რომ მეორე ტაიმში „აიაქსმა“ კარშიც ვერ დაგვირტყა. „ალკმაარს“ ამ სეზონში ასეთი სახელიანი მეტოქისთვის აქამდე არ მოეგო.

— ჩვენში კი ერთი-ორჯერ უკვე ასეთ ხუმრობას მოვკარით ყური — შოთას გოლები მეტოქეების კი არა, გაიოზ დარსაძის კარში გააქვსო...

— არავის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს და ვიცი. როგორც დარსაძე და ახალკაცი ჩათვლიან სწორად, ისე უნდა მოიქცნენ, მთავარია, ეს საქმეს გამოადგეს.

**დავით თავართქილაძე**



# დინამიტი

## თბილისის დინამო მცხეთაში აფეთქდა

გიო ახვლედიანის

სვეტი

## რობერტინო ლორეტის გადასარჩენად

ასეთი ამბავია ამ დღეებში, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ერთი შესარჩევი ეტაპი დაძლია ბალტიის მხარეში მიმდინარე თამაშებში და ახალი ეტაპისთვის მზადაა. იქ კი მეტოქენი სხვა გაქანებისა იქნებიან.

საერთოდ, მთელს მსოფლიოში ასეა, რომ ყმაწვილთა და ახალგაზრდათა სანაკრებო ფეხბურთზე მედია ბევრს არ ლაპარაკობს ხოლმე. მთლად 19-წლამდე არა, მაგრამ 21-წლამდე ბრწყინვალე ნაკრებები კი გვახსოვს და ასევე გვახსოვს იმ გუნდებში მბრწყინავი ბიჭები, რომლებიც მერე გამქრალან. არა, ისინიც გვახსოვს, ვინც კიდევ უფრო აკაშკაშებულა, მაგრამ, ასაკია ისეთი, რომ ან თავს ვერ მოერევი, ან განგება აღარ გაგატარებს, ან კიდევ ბუნება.

მოკლედ, იმას ჰგავს, რობერტინო ლორეტი რომ მღეროდა ბიჭობაში და მერე ველარ. ყველას ელის ასეთი საფრთხე. მეორე მხრივ კი, სრულიად ჯადოსნური დროა თამაშისა და ცხოვრებისათვის, რადგან ფეხბურთში, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეში, თანდათანობით გაგენიოსება არ არსებობს და მაშინ ბიჭს 19-წლამდელთა ნაკრებში აღარავინ აჩერებს, პირდაპირ დიდებში გაიტაცებენ ხოლმე.

მეორე მხრივ კი, საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ყმაწვილთა და ჭაბუკთა ნაკრებები მთავარი იმედია. ეს არის ერთადერთი რამ, რაც ჩვენში ფეხბურთის არსებობას და უწყვეტობას უნდა აჩვენებდეს. სხვა, მეტ-ნაკლებად მაგარი იმედი ჩვენ არ გვაქვს. ძველ დროში, ქართველები ძალიან მაგრები იყვნენ სიყმაწვილეში. ყველას ეხსომება ბიჭური ფეხბურთის ვარსკვლავები, რომლებიც მერე გაუჩინარდნენ.

ძველი ძმაკები ამბობდნენ, ჩვენთან გენიოსები მაშინ „ფუჭდებიან", როცა დიდ გუნდებს მიადგებიანო. ჰოდა, მთავარი სწორედ ეს არის, რომ თექვსმეტი წლიდან ისე ატარო ბიჭი, რომ, რაც აქვს, არ დაკარგოს. ისეთ გაცვეთილ რამეს ვამბობ, რომ მოსმენაც არ ღირს, მაგრამ გვინახავს და იმიტომ. რასაც ბიჭი აკეთებს, იმას გამოცდილება თითქმის არა აქვს: იქ წამყვანი ნიჭია. ამ ნიჭს კი იმდენი ხარიხა და საბეჯგი ჯოხი უნდა შეუდგა, რომ... სხვანაირად არ გამოვა. მარტო საფეხბურთო კი არა, ადამიანური.

ძველ ფეხბურთელებს, როცა კარგ ხასიათზე არიან და სანდო კაცადაც გთვლიან, რალაცების მოყოლა უყვართ ხოლმე. ყველაზე გულის გამტეხი ამ ამბებში სწორედ ბიჭობისდროინდელი ისტორიებია, მათი დიდ ფეხბურთთან პირველად შეხების ამბები. ეს ისტორიები ყველას სხვადასხვა აქვს, მაგრამ ბევრისგან მსგავსი მოგისმენია. ისეთებისგანაც, ვინც ფეხბურთელი აღარც გამხდარა;

ყორყიკაშვილის გუნდი კარგი გუნდია და ნეტავ, არც ერთმა იქ მოთამაშე ბიჭმა ხმა არ დაკარგოს.

# ტალინის რატიფიკაცია

## საქართველომ და წინამძღვრიშვილმა ყველას გაასწრეს

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. ამის უფლება კობა ყორყიკაშვილის გუნდმა ტალინში მოიპოვა — პირველ შესარჩევ ეტაპზე გამართულ სამ მატჩში შვიდი ქულა აილო და მეტოქეთაგან მიუწვდომელი შეიქნა.

ქართველები რომ ამ ბარიერს დაძლევდნენ, პირველივე თამაშის შემდეგ (ლიტვასთან 3:1) იოლი გამოსაცნობი იყო, თუმცა ჩვენთვის სასიამოვნო ის უფროა, რომ მათ ბოლო, მესამე ტურში მაინც მოახერხეს პირველ ადგილზე გადასვლა — ჩვენებმა უფრო შედეგიანად ითამაშეს, ვიდრე კონკურენტმა სლოვენიამ.

უფრო დეტალურად: საქართველომ მასპინძელ ესტონეთს 2:0 მოუგო, სლოვენიამ კი ლიტვა 2:1 დაამარცხა და ბურთების უკეთესმა შეფარდებამ ჩვენ გვახეირა.

ადრეც ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ: პირველი ადგილი პრესტიჟის გარდა იმითაცაა კარგი, რომ ქართველებს შანსი აქვთ, მეორე ეტაპს თბილისში უმასპინძლონ. ამის სურვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ადრევე გაამჟღავნა და დღე-დღეზე ოფიციალურ განაცხადს უეფაშიც წარადგენს.

ესტონეთთან მატჩს დავუბრუნდეთ: რატი წინამძღვრიშვილმა მე-2 და მე-10 წუთებზე გაიტანა გოლები და თამაშის ბედიც იქვე გადაწყდა. სასიამოვნოა, რომ ამერელი ფორვარდი ოთხი გოლით ტალინური შესარჩევი ეტაპის ბომბარდირიც გახდა.

ჩვენებმა ესტონეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *რევიშვილი, ელბაქიძე, ხიდეშელი, გვაძაბია, მჭედლიშვილი (თომაშვილი), მახარაძე, ბუალავა, განუგრავა, ჩირიკაშვილი, წინამძღვრიშვილი (ლაფერაშვილი), გოცირიძე (ხოხონიშვილი).*

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ტალინიდან ამსტერდამის გავლით წუხელ ღამის 2 საათზე დაბრუნდა თბილისში.

**ძახა ზალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| სლოვენია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ლიტვა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |



გაგიკო ოქროპირიძის ფოტო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ლიდერმა რატი წინამძღვრიშვილმა ესტონელ თანატოლებს საქმე 10 წუთში მოუმთავრა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა | პირველი წრე | 6 ტური



[illegible] ფოტო

გიორგი კახელიშვილი (მარცხნივ) დუბლით გამოირჩა

თბილისი. 18 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 150 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

1:0, 2:0 კახელიშვილი (20, 75)

| ლოკომოტივი | კოლხეთი |
|---|---|
| ბ. ქანტურია, საჯაია, მახვილაძე, გ. ონიანი, ხეთურიძე (დ. დოფზაძე 37), ინოზოვი, ლ. ქებაძე, რ. ონიანი, სირაძე (მანოვი 90), კახელიშვილი, რამონი (ხარაძე 46) | ბათიაშვილი, თურქია (ცეკვაშვილი 42), ჯ. შალამბერიძე, ქუტიძე, ფარულავა, კრასოვსკი, ვართაგავა, ყურაშვილი, ე. მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე, ზ. ჯანაშია |
| სათადარიგონი: ჩალაძე, ალავერდაშვილი, შ. ჯიშკარიანი, ბენდელიანი | სათადარიგონი: ლატარია, გოჩალეიშვილი, ნიქარიშვილი, გ. ტყებუჩავა, ლოლუა, სამსეიშვილი |
| მწვრთნელი: ნოდარ აკობია | მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: ყურაშვილი (69), საჯაია (90)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

ინსპექტორი: ს. კუტივაძე

# კახელიშვილის ხელობა: მე გავიტან, თქვენ დაივიწყეთ

**გიორგი ვაშაკიძე**

**გუშინდელ** მატჩზე „დედა, რა ვნახეთო", ნამდვილად ვერ ვიტყვით, თუმცა მთლიანობაში თამაშს არა უშავდა — იყო მომენტები, ძვალთა ჭახა-ჭუხი და გოლები...

გეხსომებათ, „ლოკომოტივმა" რამდენიმე დღის წინ ბათუმში სუპერთასი წააგო „დინამოსთან". ასე რომ, რკინიგზელებს ამის დავიწყება და სარეაბილიტაციოდ ფოთელებთან უცილობელი მოგება სჭირდებოდათ. ამიტომაც გვითხრა თბილისელთა მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ ნამატჩევ პრესკონფერენციაზე, ჩვენთვის უმთავრესი სამი ქულა იყოო.

არბიტრ ლაშა სილაგავას სასტარტო ჩასტვენისთანავე თამაში ცოცხლად დაიწყო: აკობიამ კოლეგა სოსო ფილიას 3-5-2 სქემა „შესთავაზა", რასაც კოლხთა თავკაცმა 4-4-2 დაუპირისპირა.

მე-20 წუთამდე ბრაზილიელი რამონის ორი გაცუდებული მომენტი თუ იყო გამოსარჩევი. მეოცეზე კი ტაბლოზე უკვე 1:0 ენთო — დავით სირაძემ კოლხთა საჯარიმოში გიორგი კახელიშვილს უპასა, კარის წინ ეულად დარჩენილ ფორვარდსაც ბურთის დამუშავება და ზურაბ ბათიაშვილის კარში გატანა არ გასჭირვებია.

თამაში ცენტრიდან განახლდა და რამონს ისევ შეეძლო, ეხეირა — გიორგი სეთურიძემ ჩია სამხრეთამერიკელი მეკარეს პირისპირ შეატოვა, თუმც ბათიაშვილმა ორიოდ მეტრიდან ძლიერად დარტყმული ბურთი კუთხურზე სასწაულებრივად გადააგდო.

ამის მერე თამაში შედარებით დაწყნარდა, ხოლო სტადიონზე შეკრებილმა დაახლოებით 150 ძომაგმა, რომელთა უმეტესობა რატომღაც ფოთელი იყო, მხოლოდ მაშინ ამოიგმინა, როცა კოლხთა მცველმა ილო ქუტიძემ ურეალურესი მომენტი „გამაზა": გრიგოლ ჭანტურიას კარის წინ უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა კოლხმა ძლიერად დარტყმული ბურთი ღრუბლებში გააფრინა. ეს ამბავი მე-40 წუთზე მოხდა.

მეორე ტაიმში ბურთსაც და, შეიძლება ითქვას, თამაშსაც „კოლხეთი" აკონტროლებდა, რის დასტურადაც ფოთელებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ჭანტურიასთან პირისპირ შეყრილმა ტატო ცეკვაშვილმა მეკარეს ბურთი თავზე ზუსტად ვერ გადაავლო.

ვერ გადაავლო და, ოთხ წუთში ფეხბურთის დაუწერელი კანონი ამოქმედდა — ვერ გაიტანა ფოთელმა ცეკვაშვილმა, გაიტანა თბილისელმა კახელიშვილმა: გიორგიმ ნაკუთხურალი ბურთისას სტუმართა შეცდომით ისარგებლა (ბათიაშვილმა ბურთი მუშტებით ცუდად მოიგერია) და კოლხი მცველისგან ასხლეტილს ძლიერად ამოსცხო — 2:0.

### პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* ვიცოდით, რთული თამაში გველოდა და კმაყოფილი ვარ, რომ მოვიგეთ. სამი ქულა ბრძოლაში მოვიპოვეთ. სოსო ფილია გამოცდილი მწვრთნელია და მისი ხელი გუნდს აშკარად ეტყობა. „კოლხეთი" კარგი გუნდია.

სოსო ფილია კი პრესკონფერენციაზე არ მოვიდა, ალბათ დაავიწყდა, ან არ უთხრეს...

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 6 ტური

მცხეთა. 18 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო

| | |
|---|---|
| 1:0 მარცვალაძე (12) | |
| მარცვალაძემ ვერ გაიტანა პენალტი (31, აცილა) | |
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, მ. დათუნაიშვილი, კობიაშვილი, ლომაია, ქუხილავა, გ. დათუნაიშვილი, დიღმელაშვილი, იმედაშვილი (რაზმაძე 67), ფეიქრიშვილი (გველესიანი 61), გელაშვილი (სახოკია 53), მარცვალაძე. სათადარიგონი: მუჯრიშვილი, აბშილავა; გ. მელქაძე, ბერიაშვილი. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | დინამო: სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია (გიგაური 35), გრიგალაშვილი, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (გ. ძულიძე 60), ბობოხიძე (იაშვილი 46), ლ. მელქაძე. სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; გ. კაშია, დათუნაშვილი, დვალიშვილი. მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: აკობია (31), მერებაშვილი (55), კობიაშვილი (60, 85) | |
| გაძევება: ალადაშვილი (16), კობიაშვილი (85) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ტ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი) | |
| ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი | |



ბადრი [illegible] ფოტო

ვიტელმა ოთარ მარცვალაძემ „დინამოს“ პენალტიდან ვერა, მაგრამ თამაშიდან კი გაუტანა

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

# რატომ დანიშნეს კვარაცხელია?

**დამნაშავეა** მსაჯი! ჩვენ ლევან კვარაცხელიამ დაგვწვა! — ასეთი იყო „დინამო“ მატჩის შემდეგ და კლუბის წარმომადგენლები დღეს ოთხ საათზე დიღმის ბაზაზე ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციასაც გამართავენ.

ახლა ისიც ვთქვათ, დინამოელი კახა ალადაშვილი რა ვითარებაში გააძევეს. ალადაშვილმა ვიტელ გიორგი ფეიქრიშვილს მიარტყა ფეხი, მაგრამ არა გამეტებით (რისთვისაც ყვითელ თუ წითელ ბარათს იძლევიან). მოკლედ, ასეთი ჯარიმისთვის ალადაშვილი გასაგდები ნამდვილად არ იყო. მეორე ვარიანტი: ალადაშვილმა სასტვენის შემდეგ მსაჯს შეაგინა. მაგრამ ალადაშვილის ბილწსიტყვაობა ტრიბუნაზე მსხდომთ არავის გაუგია. და მესამე ვარიანტიც: ალადაშვილმა ჩუმად შეაგინა მსაჯს!

კვარაცხელიას ქმედებას გარჩევა უნდა მოჰყვეს, მაგრამ სანამ მსაჯს ვერდიქტს გამოუტანენ, მისი ამ თამაშზე დამნიშნავსაც უნდა მოვკითხოთ ჭკუა — რატომ ინიშნება ტურის ცენტრალურ მატჩზე კვარაცხელიას დარი გამოუცდელი მსაჯი?

დინამოელები ალადაშვილის გაძევების გარდა სხვასაც ედავებოდნენ მსაჯს: როცა გრიგოლ ბედიაშვილი და დავით იმედაშვილი დაშავდნენ, მათ სამედიცინო დახმარება მინდორზე აღმოუჩინეს და არა მინდვრის გარეთ, როგორც ამას წესი და კანონი მოითხოვს; კვარაცხელიამ ოდენ სამი წუთი დაამატა მატჩს, რომელშიც ხშირი იყო პაუზები; ერთ ეპიზოდში მსაჯებმა ძალიან საეჭვო თამაშგარე დაუფიქსირა დინამოელებს...

მოკლედ, „დინამოს“ მსაჯთან შესადავებელი და პასუხის მოსათხოვი აქვს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ მართლაც მაგრად ითამაშა, მართლაც მაგრად იყო შეკრული და მობილიზებული; ეს გუნდი მართლაც განსაკუთრებული შეუპოვრობით თამაშობს „დინამოსთან“ და მართლაც უხერხული მეტოქეა მისთვის — მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯია“ ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ გუშინ სულ სხვა „ვიტ ჯორჯია“ ვიხილეთ.

თავიდანვე ჯიგრიანი ბურთაობა გაჩაღდა, კარგი შანსი ჰქონდა მიხეილ ბობოხიძეს, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. ვიტელებმა სისწრაფეზე გააკეთეს აქცენტი, კარგად იშლებოდნენ და, როგორც იტყვიან, ფეხზე აჯდნენ მოწინააღმდეგეს.

გოლი კი ასე გავიდა: გიორგი ფეიქრიშვილის ფლანგური ჯარიმის შემდეგ ერთ-ერთმა დინამოელმა უხეიროდ მოიგერია ბურთი და ოთარ მარცვალაძემ ახლოდან გაუტანა ზვიად სტურუას.

ალადაშვილის გაძევების შემდეგ საგოლე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა — თენგიზ კობიაშვილმა ახლოდან თავურით აცილა, გიორგი მერებაშვილს კი ბედიაშვილმა აუღო.

და პენალტი: კონტრშეტევისას ფეხმალმა მარცვალაძემ გაიგდო ბურთი, შეიჭრა „დინამოს“ საჯარიმოში და ლევან აკობიამ წააქცია — 11-მეტრიანი მარცვალაძემ ცუდად შეასრულა, ძლიერი დარტყმით გადააცილო ბურთი ხარიხას.

მეორე ტაიმი მშვიდად დაიწყო, მაგრამ თეხბურთელები ნელ-ნელა გაფიცხდნენ. „დინამოს“ მთავარი კოზირი შეცვლაზე შესული სანდრო იაშვილი შეიქნა — იგი ძალიან ამწვავებდა თამაშს, ვიტელთა დაცვას მოსვენება არ აძლევდა, ჰაერში ყველა ბურთს იგებდა და კარგადაც უგდებდა თანაგუნდელებს, მაგრამ...

მასპინძელთაგან ზაზა სახოკიას შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ 17-18 მეტრიდან მიზანმა უმტყუნა. სტუმართაგან კი იმავ იაშვილს უნდა ეხეირა, თუმც ბედიაშვილმა ივარგა და არ დაანება.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო, დაძაბული, დრამატული და სკანდალური შეხლა გამოდგა გუშინდელი „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“...

### პრესკონფერენცია

*კახა ცხადაძე:* საინტერესო თამაში იყო, მაგრამ საერთო სიტუაცია ისეთია, რომ ჩემი და მთლიანად კლუბის წინააღმდეგ იერიშებს ვგრძნობ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციას მოვაწყობთ. „დინამო“ დამსახურებულ ქულებს კარგავს — ასეთი კამპანია ადრევე დაიწყო. დღეს „დინამომ“ მეტოქეზე კარგად წარმოაჩინა თავი. ქართული ფეხბურთი კი ჭაობშია.

*ნესტორ მუმლაძე:* ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ მეტოქემ დღეს გვაჯობა, ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ და პენალტი რომ შეგვეგდო, სულ სხვანაირად წარიმართებოდა მატჩი. რაც შეეხება მსაჯობას, ინციდენტების ადგილიდან შორს ვიყავი და სანამ ფირს არ ვნახავ, ვერაფერს გეტყვით.

# ტორპედომ ორი ნავსი გატეხა

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

**როგორც იქნა**, „ტორპედომ“ მოუგებელი და „მშრალი“ მატჩების სერია შეწყვიტა.

ქუთათურებმა ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და თითქოს წაგებული მატჩი შემოატრიალეს.

მასპინძლებმა შემტევი 3-4-3 სქემა აირჩიეს, თუმცა საწყისი წუთები მათ კარგს არაფერს უქადდა — მერამდენე მატჩია, რიონისპირელები გოლებს თამაშის დებიუტშივე უშვებენ.

სოხუმელები მეექვსე წუთზევე დაწინაურდნენ, როცა შოთა ჩომახიძემ სწრაფად ჩაუდრიბლინგა „ტორპედოს“ მცველებს და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა — 0:1.

ამის შემდეგ ტორპედოელ მერაბ ძოძუაშვილს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მისი საჯარიმო დარტყმა ავთანდილ ლაბაძემ ნახტომში მოიგერია. მალე მდივნიშვილს ორჯერ მართებდა გოლის გატანა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

31-ე წუთზე ჩომახიძემ ჭანტურიას პასით დუბლი მიითვალა — 0:2.



მალხაზ [illegible] ქუთაისიდან

სოხუმელები მერაბ ძოძუაშვილის (№7) გოლმა საბოლოოდ გატეხა

მეორე ტაიმში მოედანზე მხოლოდ „ტორპედო“ ჩანდა, სოხუმელებს კი კარისკენაც არ დაურტყამთ.

47-ე წუთზე მასპინძლებმა პირველი საამსეზონო გოლი გაიტანეს — ბურჯანაძის ჩაწოდებულს მცველი რატი ბარაბაძე შესწვდა და 1:2. 59-ე წუთზე კი გიორგი ჯაშის პასით ლევან მდივნიშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ მისი თავური ხარიხამ მოხვდა, მალევე ძოძუაშვილმა ძელს გაარტყა ბურთი...

„ტორპედომ“ 68-ე წუთზე მაინც გაათანაბრა — მდივნიშვილმა შორიდან გაიტანა — 2:2.

ქუთათურები ფრეს არ დასჯერდნენ და მეტოქეს ბოლომდე მიაწვნენ. 72-ე წუთზე მერაბ ძოძუაშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა, გატანილი გოლი მაისურის გახდით „იზეიმა“ და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

ქუთაისი. 17 სექტემბერი. 17 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 4:2 სოხუმი

| | |
|---|---|
| 0:1, 0:2 ჩომახიძე (6, 31), 1:2 რ. ბარაბაძე (47), 2:2 მდივნიშვილი (68), 3:2 ძოძუაშვილი (72), 4:2 სვანაძე (90) | |
| ტორპედო: მიგინეიშვილი, რ. ბარაბაძე, მაღლაკელიძე, ებრალიძე, ტეხოვი (ჯაში 58), ა. ფოფხაძე, ძოძუაშვილი, გ. შენგელია (დოლონაძე 35), მდივნიშვილი, სვანაძე, ლალაძე (ბურჯანაძე 38). სათადარიგონი: გ. ბარაბაძე, გორგოძე, კვერნაძე, კაკულაძე. მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე | სოხუმი: ა. ლაბაძე, ქვანია, ზ. ჯულაძე, ჭყოიძე, თ. უგრეხელიძე, გ. ჩხაიძე, ჩომახიძე, გაგუა (ეგაძე 60), გადელია (ლ. ხილაგაძე 65), რუხაია, ი. ჭანტურია (შამუგია 84). სათადარიგონი: სეფიაშვილი, ფარჯიანი, გ. ხაჩიძე, მოლოდინი. მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი |
| გაფრთხილება: ძოძუაშვილი (72), სვანაძე (79) | |
| მსაჯები: ა. კრიჟაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი) | |
| ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი | |

მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე კი „ტორპედომ“ ერთხელაც გაიტანა — მდივნიშვილის დარტყმული მეკარემ მოიგერია, დამატებაზე ბურთთან კახაბერ სვანაძე გაჩნდა და 4:2.

### პრესკონფერენცია

*გოჩა ჟორჟოლიანი:* პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, შესვენების შემდეგ თავი დაღლილობამ იჩინა, რაც ჩვენი ცუდი სავარჯიშო პირობების ბრალია, ფინანსურადაც ძალიან გვიჭირს. „ტორპედოს“ კი ამ მხრივ პრობლემები ნაკლებად აქვს და გარკვეულწილად ლოგიკურიცაა, რომ დღეს დავმარცხდით.

*რევაზ ბურკაძე:* როგორც იქნა, ფორტუნამ ჩვენც გადმოგვხედა. ბიჭები თანდათან შედიან ფორმაში და, რაც მთავარია, მგონი, „ტორპედომ“ იპოვა თავისი თამაში.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 6 ტური



დავით სევასტოპულომ (№20) ცხინვალელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა

ვაჟიკო კაიდარაშვილის ფოტოები

თბილისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 900 (ტევადობა 900)

**ამერი 1:0 ცხინვალი**

1:0 სევასტოპულო (53)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, დავითიძე, გ. კვახაძე, ხვადაგიანი, კიდელაშვილი, დობროვოლსკი (ბერიანიძე 76), კოშკაძე, გ. ჩხეტიანი (სილაგავა 46), ა. კაიდარაშვილი, ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 73), სევასტოპულო
*სათადარიგონი:* ნაჭყებია; ნიკოლაიშვილი, ნ. ნადირაძე, გარუჩავა
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი, დ. მაისურაძე, ქობესაშვილი, გ. ლომიძე, დათუაძე, გ. ჩიტაია (ფერსაევი 62), გაბლაია (ნ. ნოზაძე 67), ბ. ჩიტაია, ბაკარაძე, მოსიაშვილი (ბოლოთაშვილი 78), ჩილვინაძე
*სათადარიგონი:* გიზო შენგელია; ხოხობაშვილი, თაყაძე
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**გაფრთხილება:** დობროვოლსკი (15), მაისურაძე (32), ბ. ჩიტაია (34), ჩილვინიძე (45), კვახაძე (76), სევასტოპულო (88)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

# ნუ ინერვიულებთ!

## გაიტანეთ და დაამთავრეთ

კობა ინასარიძე

— ზედიზედ ორი თბილისური მატჩი, იდენტური შეცდომები და ერთნაირი ანგარიშით ორი წაგება — დაიჩივლა ნამატჩევს „ცხინვალის" თავკაცმა ივანე თაყაძემ. შეგახსენებთ, ცხინვალელები „ამერამდე" „დინამოს" ესტუმრნენ და იქაც 0:1 დამარცხდნენ.

„დინამოსთან" მატჩისა რა გითხრათ, გლდანში კი „ცხინვალმა" მასპინძლები გვარიანად ანერვიულა. არა, „ამერი" შაბათს უქულოდ ალბათ არ დარჩებოდა, თუმცა, ისიც უსამართლობა იქნებოდა, თბილისელებს ფაქტობრივად მოგებული თამაშის ბოლოს გოლი მიეღოთ და სტუმართათვის ფრე გაეყოლებინათ. საამისო შანსი „ცხინვალს" ძირითად დროს წამატებულ წუთებში რამდენჯერმე ჰქონდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა — სტუმრებმა ლადო ნადირაშვილის კარისკენ ხეირიანად ვერ დაარტყეს...

სიზუსტე აკლდა „ამერსაც", თუმც დავით სევასტოპულომ მიზანს ერთხელ მაინც მოარტყა...

გაიტანა „ამერმა" და, მერე კაცს სათვალავი აერეოდა, იმდენი მომენტი გააცუდა.

„ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შესაძლო იყო, მეტოქეს დავესაჯეთ" — თქვა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე „ამერის" მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ.

პირველ ტაიმში მოედანზე ფიცხელი ბრძოლა კი იყო, მაგრამ მეტოქეთა მცველებს ბევრი საქმეც არ ჰქონიათ. სხვებზე მეტი დატვირთვა მოდიოდა ჰავბეკებზე რომლებიც შუა მოედნის გაკონტროლებასა და უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ. ამ მხრივ ოდნავ ყოჩაღად მასპინძლები გამოიყურებოდნენ, რაც, პირველ ყოვლისა, ტემპის „კარნახით" აისახებოდა, თუმც ჯაბანნი არც ცხინვალელები ყოფილან და ჯარის ხარჯზე თბილისელებს წინსვლის საშუალებას უმცირებდნენ.

შესვენებამდე არც საგოლე მომენტები ყოფილა, გიორგი კვახაძემ და დავით დათვაძემ მეკარეები თითოჯერ შეაწუხეს. შესვენებაზე კი გიორგი ჩიხრაძემ ერთი შეცვლა გააკეთა და არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, თამაშიც მაშინ მოიგო — მან გივი ჩხეტიანს სწრაფი გიორგი სილაგავა ამჯობინა და „ცხინვალის" პრობლემებიც აქედან დაიწყო. სილაგავამ მარჯვნიდან ერთი-ორჯერ მეტოქეთა საიმედოობა მოსინჯა და ფლანგური ჩაწოდებებით აანერვიულა სტუმრები, მერე კი საგოლე კომბინაციაც წამოიწყო, რომელიც მართლაც ეფექტური გამოდგა: სილაგავამ ერთი მეტოქე რომ ჩამოიშორა, ალარ დაახანა და საჯარიმოს ხაზთან გადააწოდა ბურთი სულიკო დავითაშვილს, რომელიც თითქოს „ცხინვალის" კარს დაშორდა, მცველებიც გაიტყუა და ერთი გადაცემით სტუმართა მთელი დაცვის ხაზი ხახამშრალი დატოვა — სევასტოპულომ ბურთი გაისწორა და რამაზ სოლოლაშვილთან პირისპირ დარჩენილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ „ამერმა" აიშვა. სევასტოპულოსა და სილაგავას კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორეს.

მეორე ტაიმის ბოლოსკენ ჩიხრაძემ კიდევ ორი შეცვლა გააკეთა: ჯერ თავდასხმას შემატა სისწრაფე და აგრესია, როცა დავითაშვილი დიმიტრი ტატანაშვილით შეცვალა, მერე ჯაბა ბერიანიძით ნახევარდაცვის ზურგი გაამაგრა და... ვიდრე „ცხინვალის" შეტევები შეიქმნებოდა, იქამდე „ამერი" ვალდებულიც იყო, სამი-ოთხი გოლი გაეტანა — მოედნის სტუმართა ნახევარზე ტატანაშვილი გაბატონდა, თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლა მოიგო, დრიბლინგებითაც გატანჯა მეტოქე, მაგრამ ვერა და ვერ იხეირა, არადა საამისოდ, იცოცხლეთ, იმდენი მომენტი ჰქონდა...

## პრესკონფერენცია

*ივანე თაყაძე:* ჩემ ფეხბურთელებს ალეკო კაიდარაშვილისა და სულიკო დავითაშვილის განეიტრალება ვთხოვე და მათ ეს პირველ ტაიმში კარგად გააკეთეს, შესვენების შემდეგ კი... სწორედ დავითაშვილის პასი და მცველების შეცდომა გამოდგა გადამწყვეტი ამ შეხვედრაში. დღესდღეობით საქართველოში დავითაშვილთან ტოლ-სწორად მოთამაშე მცველი არ მეგულება. მასპინძელთა შორის გიორგი სილაგავასაც გამოვარჩევდი, მან ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა. ვულოცავ „ამერს" დამსახურებულ გამარჯვებას.

*გიორგი ჩიხრაძე:* „ცხინვალი" კარგი, ბრძოლისუნარიანი გუნდია და მიხარია, რომ დღეს სამი ქულა მოვიპოვეთ. გიორგი დეკანოსიძე და მისი გამჭოლი გადაცემები კი დღეს ნამდვილად გვაკლდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 16 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ამერი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:4 | 13 |
| ბორჯომი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 10 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 3:5 | 9 |
| ბათუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | 7 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ტორპედო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| სოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:4 | 1 |
| თბილისი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | 0 |



ამერელი დიმიტრი ტატანაშვილი (№18) თამაშში აქტიურად ჩაერთო

ვაჟიკო კაიდარაშვილის ფოტოები



ამ ცვლილებით გიორგი ჩიხრაძემ თამაში მოიგო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 6 ტური

# ცხრილის პასუხი თამაზ სტეფანიაზე

**ილია ნანობაშვილი** ბოლნისიდან

— მგონი, თამაში არ გვიყიდია — ხუმრობით თქვა ნამატჩევს „სიონის“ თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა. გეხსომებათ, მის გუნდს წინა ტურში ჩირქი მოსცხეს და ვისაც ბოლნისელების ლიდერობა შემთხვევითი ჰგონია, გუშინწინდელი მატჩი უნდა ენახა: სილაღე და ტექნიკა თავისთავად და, „სიონის“ ოთხივე გოლი ისეთი იყო, ფეხბურთის გურმანებს რომ დააკმაყოფილებდა.

ქართლელებს წინა მატჩში გაძევებული თენგიზ ჩიკვილაძე აკლდათ, რის გამოც ქასრაშვილს დაცვის გადაწყობა დასჭირდა, ანუ საყრდენი ნახევარმცველი ლევან ჩაჩუა უკანა ხაზში დაწია. ბოლნისელებმა პირველივე წუთებიდან „ჩართეს სიჩქარე“, ჯაბა დვალი და კოკა მიკუჩაძე ყველაფერში ჩაგრავდნენ თელაველ მცველებს და გოლმაც არ დააყოვნა: მე-16 წუთზე სწორედ მათი კომბინაციის შემდეგ დაასწრო გრიგოლ დოლიძემ მცველებს და ვარდნაში გაიტანა — 1:0.

„კახეთი“ კი ცდილობდა თამაშის დალაგებას, მაგრამ პირწმინდად აგებდა ცენტრს, სადაც ლევან ხმალაძე და დავით ბოლქვაძე თარეშობდნენ.

გავიდა კიდევ 16 წუთი და 2:0 — ბოლქვაძემ საჯარიმოდან დააჭედა აუღებელი.

ტაიმის ბოლო მონაკვეთში კახელები გამოფხიზლდნენ, მათგან გამორჩეული დავით ბურდული აზრიან პასებს არიგებდა და ერთხელ თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ მისი ნახევარბრუნით დარტყმული მინდია მინდია ბობღიაშვილმა ძლივს გადააგდო კუთხურზე. და მაინც, „სიონს“ შესვენების წინ შეეძლო ანგარიშის გასამება, როცა მიკუჩაძის დარტყმული „მეტოქის დახმარებით“ ძელს მოხვდა და დამატებაზე დვალმა ააცილა.

მეორე 45-წუთეულში თამაში უფრო გაიხსნა, „კახეთმა“ ტემპს უმატა, მაგრამ დაცვაში ისევ ბლომად ხვრელები ჰქონდა და ერთ მომენტში მეკარე გიგა იაშვილმა პირისპირ შეყრილ ხმალაძეს აუღო. თავის მხრივ, თელაველთა შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა ლუკა ტეტიაშვილმა თავურით ძელი შეაზანზარა და ისეთი თამაში წავიდა, გოლი კიდევ უნდა გვენახა.

ასეც მოხდა: 64-ე წუთზე დვალი მარცხენა ფლანგზე ორ თელაველს გაუძვრა, ბურთი მიკუჩაძეს მიაწოდა და კოკამაც მცველის ჩამოცილების შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან შესვა ბურთი კარში — 3:0.

ორიოდ წუთში თელაველმა ნიკა დავითაშვილმა მასპინძელთა დაცვის ჩაძინებით ისარგებლა და ბობღიაშვილთან მარტო დარჩენილს გატანა არ გასჭირვებია — 3:1. დრო საკმარისია, მაგრამ „კახეთი“ თამაშის შემომტრიალებელი მაინც არ ჩანს.

ემოციადამცხრალი თამაში ბოლო ათ წუთში აჩქარდა, მსაჯმა ზურაბ ანიაშვილმა თელაველთა ფორვარდი ირაკლი სიხარულიძე გააძევა (როგორც გაირკვა, გინებისთვის) და... დადგა მიკუჩაძის წუთნახევარი: 25 წლის ტანხმელმა და ტექნიკურმა ფორვარდმა ჯერ აკრობატული დარტყმით ააცილა, მაგრამ წუთში 20-25 მეტრიდან ჰაერში დაჰკრა ბურთს და ბზრიალ-ბზრიალით ჩასვა კარში — 4:1. მართლაც ულამაზესი გოლი ერთ რამედ ღირდა.

ჩანს, ბოლნისს ერთწლიანი ჩავარდნის შემდეგ ღონიერი და ლაღი გუნდი ჰყავს. ამ ქალაქში რომ ფეხბურთი უყვართ, ეს ვინ არ იცის, მაგრამ სად არის გულშემატკივარი? 1 200 კაცი ბოლნისის „თამაზ სტეფანიასთვის“ ძალიან ცოტა ხომ არაა?..

## პრესკონფერენცია

*ოთარ კორღალიძე:* „სიონს“ ჩვენზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და შედეგი სულაც არაა მოულოდნელი. ეგაა, შეგვეძლო, 1:4-ზე ნაკლები ანგარიშით წაგვეგო. მსაჯობა მთლიანობაში ნორმალური იყო, მაგრამ სიხარულიძის გაძევება რას ნიშნავდა, ვერ გავიგე. მსაჯის შეხედვისთვის თუ წითელ ბარათს იძლეოდნენ, ეგ არ ვიცოდი.

...თელავში წინა მატჩზე 5 000 მაყურებელი მოვიდა და ჩანს, ვიღაცას არ უნდა, რომ ამ ქალაქში ხალხმა სტადიონზე იაროს. წარმოიდგინეთ, ჩვენს მატჩებზე მსაჯები ყველაზე დაბალ შეფასებებს იღებენ, უკვე სამჯერ იყო ასეთი შემთხვევა...

*ხვიჩა ქასრაშვილი:* დაცვის გადაწყობა მომიხდა და ამიტომ შეთამაშების მხრივ გვქონდა ხარვეზები, მაგრამ შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. „კახეთი“ მეორე ტაიმში გააქტიურდა და გვანერვიულა. ოთარ კორღალიძეს კარგი გუნდი ჰყავს და დარწმუნებული ვარ, უფრო მოუმატებს.

ბოლნისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 1 200 (ტევადობა 3 000)

### სიონი 4:1 კახეთი

1:0 დოლიძე (16), 2:0 ბოლქვაძე (32), 3:0 მიკუჩაძე (63),
3:1 დავითაშვილი (66), 4:1 მიკუჩაძე (87)

**სიონი:** ბობღიაშვილი, ლ. მერებაშვილი (ოქრომჭედლიძე 70), ხვანიძე, ჩაჩუა, რაქვიაშვილი, გ. დოლიძე (ავალიანი 76), ხმალაძე, ბოლქვაძე, კვიტაიშვილი (ალავიძე 52), დვალი, მიკუჩაძე
*სათადარიგონი:* ასლანაძე, ბაჯელიძე, კორსანტია, კობაური
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**კახეთი:** გ. იაშვილი, კველიშვილი (ტეტიაშვილი 46), გ. ნადირაშვილი, ზ. ლაბაძე, ბედოიძე, კუნჭულია (სოხელია 46), კუპრაშვილი, კობაიძე, ნ. დავითაშვილი, დ. ბურდული (ბ. ბურნაძე 69), სიხარულიძე
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; იმერლიშვილი, ბიძინაშვილი, ამირანიძე
**მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე

**გაფრთხილება:** კვიტაიშვილი (59)

**გაძევება:** სიხარულიძე (82)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე



კოკა მიკუჩაძემ (№10) თელაველები ორი გოლით გაისტუმრა

# შატაკაას ატაკაამ ბათუმი გააგორა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**მატჩის** დაწყებამდე გუნდებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ტრაგიკულად დაღუპული მსაჯის, იოსებ აფციაურის ხსოვნას.

თამაშიც დაიწყო: „დილას“ ძალიან სჭირდებოდა მოგება და სამი ქულაც დამსახურებულად ჩაიწერა აქტივში, თუმცა გამარჯვება იოლად არ ნაღდად არ მიუღია. სტუმრებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს თამაში და მასპინძლებს ტოლი არ დაუდეს.

მე-12 წუთზე ზურაბ ექონიამ კარგად ისარგებლა გორელი მცველების შეუთანხმებელი თამაშით და ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ზაზა ზირაქიშვილი, რომლის დარტყმულიც ძელმა აისხლიტა. ამის შემდეგ მასპინძლები ყურადღებით ათამაშდნენ, სტუმართა აქტიურობაც ჩაახშეს, სათამაშო უპირატესობაც მოიპოვეს.

21-ე წუთზე მიხეილ თაყაძე ფლანგიდან შეიჭრა „ბათუმის“ საჯარიმოში, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა, წუთის შემდეგ დავით პეტრიაშვილის ძლიერი დარტყმა მცველმა კუთხურზე მოიგერია.

გოლი, რომ იტყვიან, „მომწიფდა“ და გავიდა კიდეც: 23-ე წუთზე იყო, „ბათუმის“ მცველებმა უმისამართოდ მოიგერიეს ბურთი, რომელსაც ქრისტეფორე შატაკიშვილი დაეუფლა და დაახლოებით 25-27 მეტრიდან ძლიერი დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო — 1:0.

მეორე ნახევარიც გორელთა უპირატესობით დაიწყო და 57-ე წუთზე მოედნის ცენტრს ოდნავ გადაცდენილმა პეტრიაშვილმა თაყაძე თოთლაძეს პირისპირ შეატოვა — 2:0.

ამის შემდეგ მასპინძლებმა დამშვიდნენ, სტუმრებმა კი მათ ვერაფერი დაუპირისპირეს და სახიფათო მომენტიც, ფაქტობრივად, აღარ შექმნილა...

## პრესკონფერენცია

*ოთარ გაბელია:* გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და საამისოდ უკან არ დავიხევთ.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ბიჭებს მეტოქესთან მჭიდრო თამაში დავავალე, რაც შემისრულეს კიდეც. ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ.

გორი. 17 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 230)

### დილა 2:0 ბათუმი

1:0 შატაკიშვილი (23), 2:0 თაყაძე (67)

**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, ქარქუზაშვილი, თომაშვილი (ტლაშაძე 46), ხანიშვილი, მ. თაყაძე (მძინარიშვილი 72), პეტრიაშვილი, სულთანიშვილი (ნადირაძე 80), შატაკიშვილი, წუწუნავა
*სათადარიგონი:* ციცაგი; ალ. ლაბაძე, ეჯოშვილი, კობერიძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ბათუმი:** თოთლაძე, ბეგლარ თედორაძე, სიდამონიძე, გუშარაშვილი, ი. მახარაძე, მ. ბურნაძე, ექონია, ქაცარავა (გ. მანწკავა 80), გ. ჯელაძე, კაკალაძე, ზირაქიშვილი (ფირცხალაიშვილი)
*სათადარიგონი:* ბალაძე; ცანავა, დუმბაძე, გალოგრე, ბესიკ თედორაძე
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** მ. ქელიძე

## გადადებული მატჩები

თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი

### სპარტაკი — თბილისი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი

### ბორჯომი — ზესტაფონი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

საქართველოს 17 ჩემპიონატი

პირველი

პირველი წრე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

5 ტური

### ჩიხურა 4:0 მეშაქრე

### ვიტ ჯორჯია 2 0:1 თბილისი 2

### ლოკომოტივი 2 0:0 მესხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| დინამო 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 13:3 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 4:1 | 10 |
| მერანი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| მესხეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ზუგდიდი | 5 | 2 | 2 | 1 | 2:2 | 8 |
| ჩიხურა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 |
| გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| საგარეჯო | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| რუსთავი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 2:3 | 6 |
| მეშახტე | 5 | 1 | 2 | 2 | 7:5 | 5 |
| მეშაქრე | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| თბილისი 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| მაღაროელი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| ლიახვი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:9 | 0 |

# ოთხი კი არა, ჯერჯერობით არაფერი



AFP

ლივერპული — მანჩესტერი. ლივერპულელი სტივენ ჯერარდი და მანჩესტერელი უეინ რუნი დაეტაკნენ

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VI ტური

**ჩარლტონი 0:2 ჩელსი**

0:1 კრესპო (55), 0:2 რობენი (60)
**ჩარლტონი:** ანდერსენი, პერი, იუნგი, ჰრეიდარსონი, პაუელი (სპექტორი 70), რომედალი, კიშიშევი (ჰოლანდი 67), ჰიუზი, მერფი, ტომასი (ემბროუზი 67), დ. ვენტი
მწვრთნელი: ალან კერბიში
**ჩელსი:** ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიო, ტერი, დალასი, მაკელელე, დაფი (შ. რაიტ-ფილიპსი 63), ესიენი, ლამპარდი, რობენი (ჯო კოული 79), კრესპო (დროგბა 67)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: რ. კარვალიო, მაკელელე
მსაჯი: ვები
27 111 მაყურებელი

**ფულემი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 ჰარვუდი (47), 0:2 უორნერი (52ს.კ.), 1:2 ბოა მორტე (66)
**ფულემი:** ვორნერი, ბოკანეგრა, ფოლცი, ნაითი (კრისტანვალი 80), ნ. იენსენი, მალბრანკი, კ. იენსენი, დიოპი, ბოა მორტე, მაკბრაიდი, რაძინსკი (ჯონი 67)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
**ვესტ ჰემი:** კეროლი, ფერდინანდი, რეპკა, გაბიდონი, კონჩესკი, მულინსი, რეო-კოკერი, ეტერინგტონი, ბენაიუნი (შერინგემი 74), ჰარვუდი (ალიადიერე 87), ზამორა (ნიუტონი 64)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: ბოა მორტე, ბოკანეგრა, რეო-კოკერი
მსაჯი: პოლი
21 907 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ბირმინგემი**

1:0 ლუალუა (4), 1:1 იაროშიკი (6)
**პორტსმუთი:** ეშდაუნი, ობრაიენი, პრისკე, სტეფანოვიჩი, ვინალი, ონილი, დიაო, ჰიუზი (ვუკიჩი 65), რობერი, ლუალუა (კარადაში 76), სილვა
მწვრთნელი: ალან პერინი
**ბირმინგემი:** მ. ტეილორი, აპსონი, ტევილი, კანინგემი, გრეი, პენანტი (პანდიანი 90), იაროშიკი (იზეტი 42), ბატი, იონსონი, ფორსელი (კლაპამი 46), ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: სილვა, დიაო
გაძევება: ბატი (45)
მსაჯი: გალაჰერი
19 319 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ბირნი (7), 1:1 გერა (90)
**სანდერლენდი:** დევისი, ბრინი, სტაბსი, ნოსუორთი, ჰოიტი, ვაითჰედი, ბასილა, მილერი (ლოურენსი 53), არკა (სტიდი 80), ელიოტი (ლე ტალეკი 57), გრეი
მწვრთნელი: მიკ მაკარტნი
**ვესტ ბრომვიჩი:** კირკლანდი, კ. დევისი, უოტსონი, კლემენტი, რობინსონი, უოლვორკი, გერა, ჯონსონი, გრინინგი (კამარა 73), ერნშოუ (ელინგტონი 82), კემპბელი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: რობინსონი, უოტსონი, კამარა
მსაჯი: ბიბი
31 657 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 ტოტენჰემი**

1:0 მილნერი (4), 1:1 რობი კინი (78)
ასტონ ვილა: სორენსენი, მელბერგი, რიჯველი, ჰიუზი, ბუმა (სამოელი 72), მილნერი, დევისი, ბერი, ბერგერი, ანხელი, ბაროში
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
**ტოტენჰემი:** რობინსონი, კინგი, სტალტერი, გარდნერი (ნაიბეტი 39), ჯენასი, ლი, კარიკი, ტაინიო, რიდი (რობინი კინი 67), რასიაკი, დეფო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ბაროში, კინგი, ნაიბეტი
მსაჯი: ბენეტი
33 686 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 მანჩესტერი**

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია, ვორნოკი (ტრაორე 84), ლუის გარსია, ჯერარდი, ხაბი ალონსო, რიისე, კრუჩი (სისე 79), პონგოლე (სისოკო 71)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, რიჩარდსონი, სქოულზი, როი კინი (გიგზი 88), სმიტი, კ. რონალდო (პარკი 90), რუნი (ფლეტჩერი 88), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სქოულზი, კინი, ტრაორე, კარაგერი
მსაჯი: სტაილსი
44 917 მაყურებელი

**ბლექბერნი 0:3 ნიუკასლი**

0:1 შირერი (62), 0:2 ოუენი (66), 0:3 ნზოგბია (85)
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნილსენი, ნილი, ხიზანიშვილი, სევეჯი, გრეშკო (იანსენი 76), მოკოენა (თუგაი 67), რიდი, პედერსენი, ბენტლი (კუკი 67), ბელამი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
**ნიუკასლი:** გივენი, ტეილორი, ბუმსონგი, კარი, ბაბაიარო, ფეიე, ბოიერი, კლარკი, ნზოგბია, შირერი (ბრამბლი 74), ოუენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ნილი, კლარკი, ტეილორი, გივენი, ბუმსონგი, ბაბაიარო
გაძევება: ტეილორი (72)
მსაჯი: რაილი
20 725 მაყურებელი

**უიგანი 1:1 მიდლსბრო**

0:1 იაკუბუ (14), 1:1 კამარა (68)
**უიგანი:** პოლიტი, ანშო, ჩიმბონდა, დე ზეუვი, ბაინესი, კავანაგი, ბულარდი, ფრენსისი, მაკკოლუჩი, კონოლი (კამარა 64), რობერტსი
მწვრთნელი: პოლ ჯიუელი
**მიდლსბრო:** შვარცერი, ეჰიოგუ, შავიერი, საუთგეიტი, კედრუ, მორისონი (დორივა 44), როჩემბაკი, ბოატენგი, პოგატეცი, ვიდუკა (მაკარონე 61), იაკუბუ
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: პოგატეცი
მსაჯი: რენი
16 641 მაყურებელი

**სიტი 0:1 ბოლტონი**

0:1 სპიდი (90პ)
**სიტი:** ჯეიმსი, დისტინი, მილსი, დანი, ტეტჩერი, სინკლერი (ჯიჰაი 26), ბარტონი (ირლანდი 81), რეინა, მუსამპა, სიბერსკი, ვასელი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, ჯაიდი, პედერსენი, დიუფი (ნაკატა 56), სპიდი, ფეიე (კამპო 45), ნოლანი, იანაკოპულოსი (გარდნერი 66), დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დევისი, დანი
მსაჯი: დინი
43 137 მაყურებელი

**სამ წელიწადს**, „ლივერპული" „ენფილდზე" აგებდა „მანჩესტერთან" და ამჯერად უგოლოდ გაეყარა. ფრე არცერთ მხარეს არ სურდა. თამაშის წინ მასპინძლები მეთორმეტე ადგილზე იყვნენ, სტუმრები მეხუთეზე.

ამის მიუხედავად, უკანმოუხედავად არცერთს არ უთამაშია: მატჩი ისეთი იყო, რომ მოედანზე გოჯი თავისუფალი ადგილის პოვნა ჭირდა. ნაღდი მომენტი არც ყოფილა, თუმცა ხიფათი მთელ მატჩს გასდევდა. ასე დაიწყო და ასევე დამთავრდა, რაც არცერთს არ უნდოდა.

არ უნდოდა თუნდაც იმიტომ, რომ პრემიერლიგის მოწინავე გუნდები სეზონის დასაწყისშივე კარგავენ ქულებს და შორდებიან „ჩელსის", რომელსაც ჯერ არც ქულა დაუკარგავს და არც გოლი გაუშვია. ბოლო ოთხი თამაშია, რაც გოლი არც „ლივერპულს" გაუშვია, მაგრამ გატანით მხოლოდ ერთი გაიტანა და სხვაობაც ესაა პირველ და მეთორმეტე ადგილებს შორის.

გუშინ სტივენ ჯერარდმა თქვა, ნერვები მეშლება, როცა ამბობენ, პრემიერლიგა სამი გუნდის ჭიდილიაო, ჩვენც ჩემპიონობისთვის ვიბრძვითო.

სინამდვილეში, წლევანდელი პრემიერლიგა ჯერჯერობით ოთხის კი არა, ორი გუნდის ჭიდილიც არ არის: „ჩელსი" ძალიან წინაა. შაბათს, „ჩარლტონის" ძლევის შემდეგ ჟოზე მაურინიომ განაცხადა, „არსენალს" კონკურენტად აღარ მოვიაზრებ, არსენ ვენგერი უკვე ისტორიააო.

ვენგერის პასუხი ჯერჯერობით დუმილია, თუმცა, ხმის ამოღებითაც ბევრით არაფერი შეიცვლება, ჯერჯერობით მაინც.

უფრო პატარა საქმეებს რომ მივხედოთ, „ტოტენჰემმა" შეცვლაზე შემოსული რობი კინის წყალობით წამოიღო ქულა „ვილა პარკიდან", სადაც „ვილა" ჯეიმს მილნერის ადრიანი გოლით იგებდა. კინის ამ გოლმა ექვსსაათიანი საგოლე შიმშილი შეუწყვიტა „ტოტენჰემს".

ფრედ ითამაშა ბირმინგემის მეორე გუნდმა „სიტიმაც", რომელმაც ასევე 1:1 ითამაშა პორტსმუთში. ანგარიში უკვე ასეთი იყო, როცა ნიკი ბატმა დარიო სილვას დაარტყა, მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა კი ლაინსმენთან ლაპარაკის შემდეგ ბატი გააძევა. ეს 45-ე წუთზე მოხდა და „სიტიმ" მთელი მეორე ტაიმი ათი კაცით გაძლო, მენეჯერმა სტივ ბრუსმა კი დაიჩივლა, ინგლისელები ვართ, ფეხბურთის ბალეტად ნუ გადაგვიქცევთ, ძიძგილაობა ჩვენი სულის ნაწილიაო.

ამ დროს კი კვლავ მოიგო „ვესტ ჰემმა", რომელიც „ფულემს" სტუმრობდა. კვლავ თავი გამოიჩინა ადრე ლონდონელთა ქომაგთაგან დანაცინმა მარლონ ჰარვუდმა, რომელმაც წინა ტურში ჰეთ თრიქით მოიგო აპტონ პარკელთა გული. ამ ჯერზე კი ერთი თვითონ გაიტანა, მეორე კი მასპინძელთა მეკარეს შეაგდებინა საკუთარ კარში. ლუიშ ბოა მორტეს ერთი გოლი „ფულემს" არ ეყო, „ვესტ ჰემი" კი მეხუთე ადგილზე აცოცდა და ორ მანჩესტერულ კლუბს გაუმიზეზდა.

ბლექბერნის „იუდ პარკზე" კი თავის პირველ ბლექბერნულ საშინაო მატჩში თამაშობდა ზურა ხიზანიშვილი. სტუმარი წამხდარი, სეზონში იშვიათი გოლის ამარა მყოფი „ნიუკასლი" იყო.

და „კაჭკაჭებმა" ნავსი გატეხეს. პირველი გამარჯვებაც მიითვალეს და ერთბაშად სამი გოლიც შეაგდეს. თანაც თავისი პირველი ჯორდული ბუთი გაიტანა მაიკლ ოუენმა. უბერებელმა ალან შირერმაც ივარგა. ბოლოს კი თავი კვლავ შავტუხა ჩარლზ ნზოგბიამ გამოიჩინა.

„მანჩესტერ სიტიმ" ხანგრძლივი წაუგებელი სერია გარი სპიდისგან ბოლო წუთზე გაშვებული დასანანი გოლით შეწყვიტა, ხოლო „უიგანმა" და „მიდლსბრომ" მშვიდად გაიყვეს ქულა.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დარენ ბენტი (ჩარლტონი) | 5 |
| ჰორსფილდი (ვესტ ბრომვიჩი) | 4 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 4 |
| მარლონ ჰარვუდი (ვესტ ჰემი) | 4 |

### VII ტური

24-25 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | ლივერპული |
| ბოლტონი | პორტსმუთი |
| ჩელსი | ასტონ ვილა |
| ევერტონი | უიგანი |
| მანჩესტერი | ბლექბერნი |
| მიდლსბრო | სანდერლენდი |
| ნიუკასლი | სიტი |
| ტოტენჰემი | ფულემი |
| ვესტ ბრომვიჩი | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | არსენალი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 6 | 6 | 0 | 0 | 12:0 | 12 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 |
| 2 ჩარლტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 |
| 3 მანჩესტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 5 | 11 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 7 |
| 4 ბოლტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 |
| 5 სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 |
| 6 ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 7 ტოტენჰემი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 2 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 |
| 8 მიდლსბრო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 |
| 9 უიგანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 10 არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 11 ლივერპული | 4 | 1 | 3 | 0 | 1:0 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 12 ასტონ ვილა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 13 პორტსმუთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 14 ნიუკასლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 15 ფულემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 16 ბირმინგემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | -5 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | -4 | 2 |
| 18 ბლექბერნი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 19 ევერტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 20 სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |

## ჩემპიონატი

### ჩემპიონატი. IX ტური

**ბრაიტონი 2:2 ქოვენთრი**

0:1 მაკშეინი (39ს.კ.), 1:1 ნაითი (50), 1:2 იორგენსენი (50), 2:2 კაზიმ-რიჩარდსი (56)

**კარდიფი 1:0 კრ. პალასი**

1:0 რიკეტსი (26)

**ჰალი 0:1 ლუტონი**

0:1 ჰოვარდი (85)

**პლიმუთი 1:0 ბარნლი**

1:0 ევანსი (46)

**ქპრ 0:1 ლიდსი**

0:1 ჰალსი (41)

**რედინგი 1:0 ქრიუ**

1:0 ინგიმარსონი (81)

**უენსდი 1:2 მილუოლი**

0:1 ჰეილსი (50), 1:1 კუგლანი (66), 1:2 ასაბა (74)

**უოტფორდი 2:3 შეფილდი**

1:0, 2:0 ჰენდერსონი (39, 53), 1:2 ჯაგეუკა (56), 2:2 იფილი (66), 2:3 კარლაისლი (81ს.კ.)

**ვულვზი 0:0 ლესტერი**

**პრესტონი 0:1 სტოკი**

0:1 გალაჰერი (76)

**იფსვიჩი 0:1 ნორვიჩი**

0:1 ჰაკერბი (51)

**დერბი 2:2 საუთჰემპტონი**

0:1 ორმეროდი (58), 1:1 იდეაკისი (80), 2:1 დევისი (85), 2:2 ფულერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 9 | 8 | 0 | 1 | 20:9 | 24 |
| რედინგი | 9 | 6 | 2 | 1 | 18:6 | 20 |
| უოტფორდი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | 17 |
| ლუთონი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| სტოკი | 9 | 5 | 1 | 3 | 10:11 | 16 |
| საუთჰემპტონი | 9 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 14 |
| ლიდსი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 14 |
| ვულვზი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 |
| დერბი | 9 | 2 | 6 | 1 | 13:11 | 12 |
| პრესტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:9 | 12 |
| ქუინზ პარკი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:10 | 12 |
| კარდიფი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| იფსვიჩი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| კრ. პალასი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:9 | 10 |
| ლესტერი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:12 | 10 |
| ქოვენთრი | 9 | 1 | 6 | 2 | 10:12 | 9 |
| ნორვიჩი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:10 | 9 |
| ჰალი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:7 | 9 |
| ბრაიტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 10:13 | 8 |
| ქრიუ | 9 | 1 | 5 | 3 | 10:14 | 8 |
| პლიმუთი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| მილუოლი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:16 | 7 |
| ბარნლი | 9 | 1 | 3 | 5 | 13:15 | 6 |
| უენსდი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:8 | 6 |

## პირველი ლიგა

### IX ტური

ბორნმუთი — სუინდონი 2:1; ბრედფორდი — იოვილი 1:1; ბრისტოლი — ბლეკპული 1:1; დონკასტერი — სკანთორპი 3:1; ჯილინგემი — ოლდემი 0:1; ჰარტლპული — სუონსი 2:2; ჰადერსფილდი — ბრენტფორდი 3:2; დონსი — ბარნსლი 0:0; ნოტინგემი — როტერჰემი 2:0; პორტ ვეილი — კოლჩესტერი 0:1; საუთენდი — ტრანმერი 3:1; უოლსოლი — ჩესტერფილდი 2:3

## მეორე ლიგა

### IX ტური

ბერი — ბოსტონი 1:1; ჩელტენემი — კარლაილი 2:3; ჩესტერი — როვერსი 4:0; დარლინგტონი — ოქსფორდი 1:2; გრიმსბი — ტორკი 3:0; ლეიტონი — რექსემი 1:1; ლინკოლნი — პიტერბრო 1:2; მაკლსფილდი — ნორთჰემპტონი 1:4; როჩდეილი — მენსფილდი 2:0; რაშდენი — სტოკპორტი 3:2; შრიუსბერი — ნოტსი 2:0; უიკომბი — ბარნეტი 1:0

## გერმანია

### ბუნდესლიგა. V ტური

**კიოლნი 2:1 გლადბახი**

1:0 პოდოლსკი (12), 2:0 შლიკე (30), 2:1 ნოივილი (81)
კიოლნი: ვესელსი, ალფაი, შლიკე, სინკიევიჩი, ლელი, ლურლინგი (შინდსიოლერსი 62), სინკალა, რანი (სპრინგერი 69), მოხტარი (გიე-მიანი 64), პოდოლსკი, შერცი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გლადბახი: კელერი, დაემსი, ზე ანტონიო, ფუკალი, ჰელვეგი (სვერკოში 70), ლისტეში (ბროიხი 60), ელ ფაკირი, უდე კამპუისი, იანსენი, კახე, ნოივილი (კასტრატი 82)
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
გაფრთხილება: ალფაი, ფუკალი, ელ ფაკირი, ლისტეში, ბროიხი
მსაჯი: მერკი
50 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 აინტრახტი**

1:0 ვან ბუიტენი (86), 1:1 დუ რი ჩა (90)
ჰამბურგი: ვეხტერი, ვან ბუიტენი, დემელი, რეინჰარდტი, ატუბა, ბაინლიხი, მაჰდავიკია (ციგლერი 60), იაროლიმი (ტროხოვსკი 70), ვან დერ ვაარტი, ლაუტი (ტაკაჰარა 83), ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
აინტრახტი: ნიკოლოვი, კრისი (ვან ლენტი 88), ვასოსკი, რემერი, ლეხა (ოხსი 66), პრეუსი (დუ რი ჩა 88), ჯონსი, სპიხერი, მეიერი, კოლერი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ბაინლიხი, კრისი, ატუბა, ამანატიდისი
მსაჯი: კინოფერი
48 509 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:1 ნიურნბერგი**

1:0 კლიმოვიჩი (15), 1:1 შროტი (88)
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, ალექსი (მაკიადი 82), ჰოფლანდი, ნეზირი (შნორი 76), კარჰანი, სარპეი, ცქიტიშვილი, დალესანდრო, მენსეგეში (მარლე 64), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ნიურნბერგი: შეფერი, პაულუსი, ლენსე, პინოლა, ვოლფი, ჩედლი (ს. მიულერი 56), პოლაკი, კანტალუპი, ბანოვიჩი (დაუნი 67), ვიტეკი (შროტი 46), კიესლინგი
მწვრთნელი: ვოლფგან ვოლფი
გაფრთხილება: კლიმოვიჩი, იენჩი, ჰოფლანდი, ცქიტიშვილი, ჩედლი, კანტალუპი, პაულუსი
მსაჯი: კირხერი
15 748 მაყურებელი

**ვერდერი 3:2 დორტმუნდი**

0:1 სმოლარეკი (8), 1:1 კლოზე (37), 2:1 კლასნიჩი (54), 2:2 სმოლარეკი (69), 3:2 მიკუ (78)
ვერდერი: რაინკე, ნალდო, ანდრეასენი, შულცი (ვან დამი 87), ოვომოიელა, ბაუმანი, ფრინგსი, ბოროვსკი (დ. იენსენი 75), მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ვრანიეში 83)
მწვრთნელი: თომას შაафი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ვიორნსი, მეცელდერი, დეგენი, დედე, კელი, კრინგე, ოდონკორი, როსიცკი (კრუსკა 75), სმოლარეკი, რიკენი (კოლერი 54)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: შულცი, ვიორნსი
მსაჯი: ვოკი
38 000 მაყურებელი

**ბაიერნი 1:0 ჰანოვერი**

1:0 დემიკელისი (9)
ბაიერნი: კანი, რუსიო, სანიოლი, ისმაელი, ჰარგრივსი (შვაინშტაიგერი 46), დემიკელისი, ზე რობერტო, დაისლერი (სალიჰამიჯიჩი 76), ქარიმი (შოლი 70), გერერო, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

# ასე აჯობა ბაიერნმა ბაიერნს





ბაიერნი — ჰანოვერი 1:0. ჰანოვერელი მერტესაკერი (მარცხნივ) და გერერო თავგამოდებით იბრძოდნენ

ჰანოვერი: ენკე, მერტესაკერი, ჩერუნდოლო, ჟურავი (ალფარი 86), ტანრატი, ლალა, დაბროვსკი, შტაინერი, ინკოვი (ვინისიუსი 67), ჰაშემიანი (ჰეინი 67), ბრდარიჩი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ენკე
მსაჯი: ვაგნერი
66 000 მაყურებელი

**მაინცი 1:2 შტუტგარტი**

0:1 ტომასონი (76), 1:1 ნოვესკი (77), 1:2 გომესი (88)
მაინცი: ვახე, მ. ფრიდრიხი, აბელი, ნოვესკი, ვაიგელტი, გერბერი, ბაბაცი, და სილვა (ზიდანი 90), ტურკი, რუმანი (გეისლერი 67), რომულო (იოვანოვიჩი 80)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ფ. მეირა, დელპიერი, ჰ. გერბერი, გენტნერი (მაისნერი 46), სოლდო, გრონკიაერი (შტრანცლი 90), ჰიტცლშპერგერი, ტომასონი, ლუბოია (გომესი 67)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ფ. მერია, სოლდო, გრონკიაერი, ჰ. გერბერი
მსაჯი: გაგელმანი
20 300 მაყურებელი

**არმინია 0:0 ლაუტერნი**

არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, შულერი, დამაიერი, ფინკი, ზუმა (კობილიკი 79), კრომპნიკოვიჩი, პინტუ (რაუ 70), ბოვაკი (დალოვიჩი 46)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
ლაუტერნი: მახო, პლეჩი, ლემბი (მერჩი 87), მეტომო, ვენცელი, სფორცა, ენგელჰარდტი, ჰალილ ანტინტოპი, სკელა, როიტერი, იანკერი (გიოკტანი 80)
მწვრთნელი: მიხაელ ენკე
გაფრთხილება: ლემბი
მსაჯი: შტარკი
16 684 მაყურებელი

**დუისბურგი 1:3 ლევერკუზენი**

1:0 ლავრიჩი (31), 1:1 ჟუანი (37), 1:2 ბერბატოვი (41), 1:3 ატირსონი (89)
დუისბურგი: კოხი, ვოლტერსი (ტიკუზუ 58), მეიერი, ბაელუმი, გრლიჩი (ლოტნერი 58), ბუგერა, ვილი, ვან ჰუდტი (აჰანფუფი 74), ლავრიჩი, კურტი
მწვრთნელი: ნორბერტ მეიერი

ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, რამელოვი, მადუნი, ფრიცი (ბარნეტა 90), კასტრო, როლფსი, ატირსონი, შნაიდერი, ბერბატოვი, ვორონინი (ლაზოვიჩი 88)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
გაფრთხილება: ბუგერა, ვილი, გრლიჩი, ვან ჰუდტი, რამელოვი, კასტრო, როლფსი
მსაჯი: ლაინერი
24 111 მაყურებელი

**შალკე 0:0 ჰერტა**

შალკე: როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, პაულსენი, ჰამიტ ალტინტოპი, ერნსტი (ვარელა 69), ლინკოლნი, სანდი, კურანი (ლარსენი 62)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰერტა: ფიდლერი, ვან ბურიკი, ა. ფრიდრიხი, სიმუნიჩი, ფატში, ნ. კოვაჩი, ნოიენდორფი (მადლუნგი 86), ბაშთურქი (დარდაი 54), ჟილბერტო, მარსელინიო, პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ჰამიტ ალტინტოპი, რაფინია, ლინკოლნი, პაულსენი, ლარსენი, სიმუნიჩი, ფატში
გაძევება: ჟილბერტო (25)
მსაჯი: ბრიხი
60 740 მაყურებელი

**ჩემპიონი** ჩემპიონურად იქცევა, მეტოქეების განადგურებას განაგრძობს — აქამდე „ბაიერნს“ ოთხი თამაშიდან ოთხივე მოგებული ჰქონდა, ახლა მისი შედეგი ხუთიდან ხუთია! ამ ჯერზე მიუნხენელებმა „ჰანოვერი“ დაამარცხეს. ერთადერთი გოლი არგენტინელმა მარტინ დემიკელისმა გაიტანა. ეს მატჩის დასაწყისშივე მოხდა, როდესაც დემიკელისი ჰანოვერელებს უკანა ძელთან უმეთვალყურეოდ დარჩათ და მანაც ვილი სანიოლის პასით ისარგებლა. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნს“ კოჭის ტრავმის გამო აკლდა მიხაელ ბალაკი, მაგრამ ამის მიუხედავად, იმის ძალა, ეს კონკრეტული მეტოქე ზედმეტი ნერვიულობის გარეშე რომ დაემარცხებინა, ეყო.

სტატისტიკოსებმა დათვალეს, რომ მიუნხენის გუნდმა ამ სეზონის ზედიზედ ხუთი გამარჯვება გასული სეზონის მიწურულის ცხრას მიაყოლა და შეკრებით ბუნდესლიგის ახალი რეკორდი მიიღეს. საინტერესო კიდევ ის არის, რომ წინა რეკორდიც „ბაიერნს“ ეკუთვნოდა, ოღონდ 1981 წლისა გახლდათ.

მატჩის შემდეგ მიუნხენელთა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა: „ჩემპიონთა ლიგის დაძაბული მატჩიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოგვიწია „ჰანოვერთან“ თამაშმა და ამიტომ მართალი გითხრათ, ცოტა ფეხდამძიმებულნი ვიყავით, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ“.

ბალაკის მაგივრად მაგათმა ირანული ფეხბურთის ამომავალ-ამოსული ვარსკვლავი ალი ქარიმი ათამაშა, მაგრამ ქარიმის წვლილი მოედნის შუაში ერთი წადრიბლინგებითა და პაოლო გერეროსთან კედლის გათამაშების შემდეგ კარში დარტყმით შემოიფარგლა. ეს დარტყმული ჰანოვერელთა მეკარემ, რობერტ ენკემ მოიგერია. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ ბალაკის ამბავი სასამშაბათოდაც უცნობია, ამ დღეს კი მიუნხენელები ფრანკფურტის „აინტრახტს“ ხვდებიან.

„ბაიერნის“ ყველაზე ახლო კონკურენტი ამჯერად ბრემენის „ვერდერი“ გახლავთ, რომელმაც „დორტმუნდს“ 3:2 მოუგო და ლიდერთან ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. ანგარიში ები სმოლარეკმა გახსნა, მაგრამ მიროსლავ კლოზემ და ივან კლასნიჩმა უპირატესობა ბრემენელთა მხარეს გადმოწელეს. ეგრე არ უნდაო და ანგარიში სმოლარეკმა გაქვითა, მაგრამ იოან მიკუმ „ვერდერის“ გამარჯვების გოლი შეაგდო.

ფრანკფურტის „აინტრახტთან“ რომ მოეგო ცხრილში „ვერდერის“ თანაბრად იქნებოდა „ჰამბურგიც“, მაგრამ მხოლოდ 1:1 ითამაშა და ერთადერთი, რაც ამით შეძლო, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ზედიზედ 14 შეხვედრაში არწაგება გახლავთ.

ჯოვანი ტრაპატონიმ კი პირველი ბუნდესლიგური სამი ქულა მოიპოვა — „შტუტგარტმა“ „მაინცს“ მოუგო 2:1. შტუტგარტელთაგან პირველი გოლი წინა წლებში „მილანში“ თამაშით ცნობილმა დანიელმა იონ დალ ტომასონმა გაიტანა.

ტურის ბოლო თამაშებში კი ასე იყო: „ლევერკუზენი“ დუისბურგში აგებდა, მაგრამ ძველი დრო გაიხსენა და ამ მატჩის შემობრუნება შეძლო.

„შალკემ“ და „ჰერტამ“ კი 90 წუთი უგოლოდ ირბინეს. სტუმრებმა მატჩის დიდი ნაწილი 10 კაცით ჩაატარეს, მაგრამ მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა მაინც შეძლეს და გელზენკირხენიდან ქულა წამოიღეს.

**პაატა ქედია**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 6 |
| 2 ვერდერი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 |
| 3 ჰამბურგი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 11 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 5 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 |
| 4 შალკე | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 5 კიოლნი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 6 ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 |
| 7 ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 |
| 8 ლაუტერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | -2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:8 | -2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 9 ჰანოვერი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 10 შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 11 ვოლფსბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | -2 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 12 დორტმუნდი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |
| 13 გლადბახი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 14 არმინია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 |
| 15 აინტრახტი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 16 დუისბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:12 | -5 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 0 |
| 17 ნიურნბერგი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 18 მაინცი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:10 | -8 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 7 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| კლოზე (ვერდერი) | 6 |

### VI ტური

21-22 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი | შალკე |
| ჰანოვერი | ვოლფსბურგი |
| აინტრახტი | ბაიერნი |
| შტუტგარტი | ჰამბურგი |
| ლაუტერნი | მაინცი |
| დორტმუნდი | არმინია |
| გლადბახი | ვერდერი |
| ლევერკუზენი | კიოლნი |
| ჰერტა | დუისბურგი |

## მეორე ბუნდესლიგა

### V ტური

**ფრაიბურგი 0:0 კარლსრუე**

ფრაიბურგი: ვალკე (გოლცი 38), მუჰამედი, ბალტესი, ოლაიენგბესი, იბერტსბერგერი, რიტერი (ფოტერინგემი 11), აოგო (კუჯუ 68), კულიბალი, ტანკო, ანტარი, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**დინამო დრ 1:1 ბრაუნშვაიგი**

0:1 კურუ (38), 1:1 სტამიჩი (88)

**ფიურტი 1:3 ბოხუმი**

0:1 ედუ (12), 1:1 ფუხსი (19), 1:2 ჰუტი (43), 1:3 ედუ (67)

**ჰოფენბახი 2:5 მიუნხენი**

0:1 მილხრაუმი (17), 0:2 ჰოფმანი (22), 0:3 ვუჩიჩევიჩი (43), 1:3 დორნი (55), 1:4 კოლომაზნიკი (69), 2:4 იუდტი (87), 2:5 ჩერნი (90)

**უნტერჰახინგი 1:1 აუე**

0:1 იუსკოვიაკი (5), 1:1 ტაინერტი (79)

**ალენი 0:1 ზიგენი**

0:1 დურინგი (3)

**კოტბუსი 5:1 ალემანია**

1:0 დვორაკი (27), 2:0, 3:0 რადუ (39, 65), 3:1 მეიერი (82), 4:1 იუნგნიკელი (87), 5:1 მაკენა (89)

**ჰანზა 2:0 პადერბორნი**

1:0 რიდლევიჩი (2), 2:0 შიდი (71)

**ზაარბრიუკენი 1:1 ბურგჰაუზენი**

1:0 პაჯი (5), 1:1 კნეისლი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 11 |
| კოტბუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| მიუნხენი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| ბრაუნშვაიგი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 10 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ზიგენი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| პადერბორნი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| ალემანია | 5 | 3 | 0 | 2 | 10:9 | 9 |
| ოფენბახი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:12 | 9 |
| ფრაიბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ბურგჰაუზენი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| აუე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| კარლსრუე | 5 | 1 | 2 | 2 | 3:3 | 5 |
| უნტერჰახინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ფიურტი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| ჰანზა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| ალენი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:9 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:17 | 1 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### IX ტური

შტუტგარტი (მ) — კარლსრუე (მ) 4:2; მიუნხენი (მ) — ლაუტერნი (მ) 0:0; ჰოფენჰაიმი — ბაიერნი (მ) 1:0; აუგსბურგი — ვეენი 3:0; ელვესბერგი — ფულენდორფი 0:0; დარმშტადტი — კიკერსი 2:0; ეშბორნი — ტრირი 2:1; კობლენცი — ალენი 1:0; ბაიურთი — რეგენსბურგი 2:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### VII ტური

მიუნსტერი — კიოლნი (მ) 0:2; კარლ ცაისი — ვატენშტაიდი 1:0; ქემნიცი — ესენი 1:2; ლევერკუზენი (მ) — ჰამბურგი (მ) 1:4; კილი — ოსნაბრიუკი 3:2; ფორტუნა — ემდენი 1:2; ობერჰაუზენი — ერფუტი 1:0; ვუპერტალი — ვერდერი (მ) 2:1; ჰერტა (მ) — ზტ. პაული 0:0

# ისინი კი იუვირებენ: ზემან, ზემან!




AFP ტურინიდან

იუვენტუსი — ასკოლი 2:1. ალესანდრო დელ პიერო ორი გოლით დაბრუნდა

## იტალია

### სერია A. III ტური

**კალიარი 1:1 მესინა**

0:1 დონატი (30), 1:1 სუაზო (41)
კალიარი: კამპანოლო, დეგა, კანინი, პისანო, აგოსტინი, კონტი, აბეიხონი (ბუდელი 76), გობი, ესპოზიტო (კოსუ 84), სუაზო, ლანჯელა (კაპონე 58)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
მესინა: სტორარი, ძანკი, ზორო, არონიკა, რეზაი, კოპოლა, ილიევი (იანაგისავა 86), დონატი, სკული, დაგოსტინო (მუსლიმოვიჩი 73), ძამპანა (მამედე 70)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: არონიკა, ძანკი, კონტი, კოპოლა, რეზაი
მსაჯი: ჯანოკარო
14 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 4:2 უდინეზე**

0:1 მუნტარი (28), 1:1 ფიორე (39), 2:1 ტონი (43), 3:1 დონადელი (79), 4:1 ტონი (86), 4:2 იაკინტა (90პ)
ფიორენტინა: ფრეი, დანიელი, დი ლორეტო, უიფალუში, პანკარო (პასკუალი 72), ბროკი, ფიორე (პაციენცა 73), დონადელი, იორგენსენი, პაცინი (ბოჟინოვი 58), ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
უდინეზე: დე სანქტისი, ნატალი, ფელიპე, მოტა, პინცი, ძენონი, მუნტარი, ობოდო, კანდელა (ბარეტო 74), დი ნატალე (დი მიკელე 53), იაკინტა
მწვრთნელი: სერსე კოსმი
გაფრთხილება: მოტა, ფელიპე, პინცი
მსაჯი: დონდარინი
28 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 ლეჩე**

1:0 მარტინსი (25), 2:0 სტანკოვიჩი (29), 3:0 კრუზი (84)
ინტერი: სეზარი, კორდობა, მატერაცი, ზე მარია, ფავალი, კამბიასო, ფიგუ (კ. ძანეტი 77), ვერონი, სტანკოვიჩი, მარტინსი (კრუზი 79), ადრიანო (პიზარო 86)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლეჩე: სიჩინიანო, დიამუტენი, ანჯელო (კამორანი 78), აბრუცეზე, სტოვინი, კასეტი, ლედესმა, დელ ვეკიო, პინარდი (ვალდესი 67), კონანი, ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ანჯელო გრეგუჩი
გაფრთხილება: კასეტი, კრუზი
მსაჯი: პიერი
48 219 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 ასკოლი**

1:0 დელ პიერო (15პ), 1:1 კარიელო (32), 2:1 დელ პიერო (39)
იუვენტუსი: აბიატი, რ. კოვაჩი, კანავარო, ძებინა (ბლაზი 3), ძამბროტა, ემერსონი, კამორანეზი, ვიეირა, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ასკოლი: კოპოლა, დომიცი, კუდინი, კომოტო, დელ გროსო, კარიელო (ფოჯა 52), კრისტიანო, პაროლა, ფინი, ბიელანოვიჩი (კოლომბო 80), კალიარელა (ფერანტე 52)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: კრისტიანო, კამორანეზი, ფინი, ნედვედი
მსაჯი: ტალიავენტო
22 000 მაყურებელი

**ლაციო 3:1 ტრევიზო**

1:0 როკი (20), 2:0 პანდევი (26), 2:1 პინგა (44), 3:1 ოდო (88პ)
ლაციო: პერუცი (სერენი 80), სივილია, სტენდარდო, ოდო, ძაური, მანფრედინი, დაბო, ფირმანი, პანდევი (ს. ინძაგი 85), დი კანიო (ბეხრამი 55), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
ტრევიზო: ჰანდანოვიჩი, ვიალი, გალეტო, კოტაფავა, დელაფიორე (გულიატო 71), ა. ფილიპინი (კიაპარა 81), პარავიცინი, გაალო (ფავა 46), ე. ფილიპინი, პინგა, რეგინალდო
მწვრთნელი: ეციო როსი
გაძევება: ჰანდანოვიჩი (85)
მსაჯი: მაცოლენი
27 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:3 კიევო**

1:0 კოცა (11), 1:1, 1:2 დ. ფრანჩესკინი (19, 64), 1:3 მანდელი (77)
რეჯინა: პელიცოლი, დე როსა, ფრანჩესკინი, ლუკარელი (კერავოლო 84), ნესტო, რიგონი (მისიროლი 70) კარობიო (ბიონდინი 90), ვიჯანი, მოდესტო, კოცა, კავალი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
კიევო: ფონტანა, დანა, მორო, მანდელი, ლანა, სემიოლი, ბრიგი, ჯუნტი (სამარკო 67), დ. ფრანჩესკინი, ამაური (მალაგო 79), პელისიერი (ობინა 72)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
გაფრთხილება: ვიგონი, მანდელი, დე როსა, ნესტო
გაძევება: დანა (72)
მსაჯი: რაკალბუტო
18 000 მაყურებელი

**პარმა 1:0 ემპოლი**

1:0 კორადი (16)
პარმა: ბუჩი, კარდონე, პ. კანავარო, კონტინი, პასკუალე, პისანუ (სიგარინი 81), სიმპლიციო, გრელა (ბოლანო 77), ბრეშიანო, დელვეკიო, კორადი (კუტო 90)
მწვრთნელი: მარიო ბერეტი
ემპოლი: ბერტი, კოდა, ვანილი, ბუსკე, ბონეტო, ალმირონი, ფიჩინი, ლოდი, ვანუჩი (სერაფინი 64), ტავანო, რიგანო (გასპარეტო 46; პოცი 70)
მწვრთნელი: მარიო სომა
გაფრთხილება: ბრეშიანო
მსაჯი: ბერგონცი
12 000 მაყურებელი

**სამპდორია 2:1 მილანი**

0:1 ჯილარდინო (18), 1:1 ბონაცოლი (38), 2:1 ტონეტო (58)
სამპდორია: ანტონიოლი, კასტელინი, პავანი, ძენონი, პისანო, დიანა, ვოლპი, დალა ბონა, ტონეტო (პალომბო 70), ძაული (ფლაკი 58), ბონაცოლი (კუტუზოვი 78)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
მილანი: დიდა, მალდინი, სტამი, კაფუ (ვიერი 79), კალაძე, გატუზო (სერჟინო 62), პირლო (ამბროზინი 73), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ტონეტო, ზეედორფი, დიანა, ფლაკი
მსაჯი: ბერტინი
28 000 მაყურებელი

**სიენა 1:2 პალერმო**

0:1 ტერლიცი (19), 1:1 ლოკატელი (20), 1:2 მაკინვა (57)
სიენა: მირანტე, ლეგროტალიე, ნეგრო, მინანი, ალბერტო, ტუდორი, ვერგასოლა, ფალსინი (ვოლპატო 79), ლოკატელი (მოლინარო 67), ბოგდანი, მარაცინა (კიეზა 57)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონე
პალერმო: სანტონი, ბარძალი, ძაკარდო, ტერლიცი, გროსო, სანტანა, კორინი (ფერი 89), ბარონე, ბონანი (მუტარელი 74), კარაჩოლო, მაკინვა (ბრიენცა 84)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ფალსინი, მინანი, ტერლიცი, ბონანი, ტუდორი
მსაჯი: როკი
8 000 მაყურებელი

**ლივორნო 0:0 რომა**

ლივორნო: ამელია, გალანტე, ვარგასი, გრანდონი, ბალერი (სეზარი 74), მორონე, რუტოლო (ლაზეტიჩი 61), დე აშენტისი, კოკო, პალადინო (კოლუჩი 77), ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
რომა: კურჩი, კუფური, პანუჩი, ბოვო, დეროსი, მანსინი (კუფრე 76), აკილანი, პეროტა, ტადეი (ალვარესი 88), ტოტი, მონტელა (ნონდა 55)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: დე აშენტისი, ტადეი, კოლუჩი, ტოტი
მსაჯი: ტრეფოლონი
18 000 მაყურებელი

**ალესანდრო** დელ პიერო დაგვიბრუნდა! — ასე ან დაახლოებით ასე შესძახეს გუშინ „იუვენტუსის“ ვარსკვლავის, პინტურიჩოდ წოდებული თავდამსხმელის მრავალრიცხოვანმა ქომაგებმა მას მერე, რაც „ასკოლისთან“ შეხვედრაში მათმა კერპმა ორი გოლი გაიტანა — „ბებერმა ქალბატონმა“ 2:1 მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში დელ პიერო კვლავ სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ. მისმა გამოჩენამ ზლატან იბრაჰიმოვიჩს მისცა დასვენების საშუალება. ტურინელთა გუნდის სხვა ცვლილებებიდან კი აღსანიშნავია დაცვის რეორგანიზაცია, რაც ლილიან ტურამის, ალესანდრო ბირინდელის და ჯანლუკა პესოტოს ტრავმებმა განაპირობა.

მოკლედ, კარგა ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა ფრანგი მარჯვენა მცველი ჯონათან ძებინა, რომელმაც... მეორე წუთზევე იტკინა ფეხი და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. გაწბილებულმა ფაბიო კაპელომ უიღბლო ფრანგის ნაცვლად მანუელე ბლაზი შეუშვა მოედანზე. ბლაზისთვის მარჯვენა მცველობა — თუ ბელგიურ „ბრიუგესთან“ რამდენიმე დღის წინანდელ ჩემპიონთა ლიგის თამაშს არ ჩავთვლით — უჩვეულო და ახალი ამპლუა გახლავთ.

ამ შეხვედრის პირველი ნაღდი საგოლე მომენტი კი ნუ გაიკვირვებთ და „ასკოლის“ მიეცა, რომლის ორმა ფეხბურთელმა კომბინაცია კი გაათამაშა, მაგრამ ერთმა მათგანმა, საშა ბიელანოვიჩმა ძალიან ახლოდან კრისტიან აბიატის ველარავერი მოუხერხა და ბურთი მიზანს გადააცილა. საინტერესოა, რომ „იუვეს“ ზოგადი უპირატესობის მიუხედავად სტუმრები მომენტებს მაინც ქმნიდნენ და საერთოდაც, რაც ეს სეზონი დაიწყო „ასკოლი“ გოლიათებს არ ეპუება, რისი მაგალითიც პირველ ტურში „მილანთან“ ნათამაშევი ფრე გახლავთ.

სიტყვამ „მილანი“ მოიტანა და შეგახსენებთ, რას ვწერდით შაბათის „სარბიელში“, ტურის ანონსირებისას. ჩვენ ვწერდით, რომ თუკი ჩემპიონატის პირველ დღეს მილანელები წვიმამ და საძაგელმა გრუნტმა გამოსცადა, ამ უქმეებზე, გენუაში, „სამპდორიისგან“ საფეხბურთო გამოცდა ელოდათ. და, როგორც გაირკვა, „სამპდორია“ მკაცრი გამომცდელიც ყოფილა. ერთადერთი, რამაც შავ-წითლებს შეიძლება კმაყოფილების გრძნობა მოჰგვაროს, ახალი და ძვირი შენაძენის, ალბერტო ჯილარდინოს პირველი გოლია, რასაც წესითა და რიგით ამიერიდან სხვა მრავალი უნდა მოჰყვეს.

ალბათ, გუნება განსაკუთრებით დიდ მცველს პაოლო მალდინის გაუფუჭდა, რომელმაც „მილანის“ მაისურით ყველა ჯურის შეჯიბრებაში მე-800-ე, ხოლო სერია A-ში 570-ე შეხვედრა ჩაატარა. ამ 570-ით მალდინი დინო ძოფის საერთო იტალიურ რეკორდს გაუთანაბრდა, ასე, რომ შემდეგ შეხვედრაში უკვე ახალ რეკორდზე მოგახსენებთ.

გენუაში შეუცვლელად ითამაშა კახა კალაძემ, ანგარიში კი მისი და მისითანაგუნდელების სამწუხაროდ, 2:1 გამოვიდა გენუელთა სასარგებლოდ.

3:0 მოიგო „ინტერმა“, და მისმა არგენტინელმა ფორვარდმა ხულიო კრუზმა მესამე ტურში მეოთხე გოლი გაიტანა. მოგეხსენებათ, მილანელებმა წინა ტურში პალერმოში 2:3 წააგეს, ასე, რომ მათი მწვრთნელისთვის, რობერტო მანჩინისთვის რაც მოხდა მშვენიერი იყო. ხოლო, რაც შეეხება მანჩინის „ფიორენტინას“ დროინდელ ასისტენტს, ანჯელო გრეგუჩის, მას ეს შეხვედრა საქმეს გაუფუჭებს, რადგანაც იგი „ლეჩეს“ თავკაცია, რომელმაც დიდი ანგარიშით წააგო, მაგრამ წაგება ერთია და ახლა გუნდის ქომაგები უფრო ომახიანად დასცხებენ „ზზემან, ზემანს“, აქაოდა კლუბის ხელმძღვანელებო ჩვენი საყვარელი ჩეხი მწვრთნელი დაგვიბრუნეთო.

„ლაციომ“ „ტრევიზოს“ 3:1 მოუგო, რასაც გულწრფელად ვულოცავთ... „ტრევიზოს“, რომელმაც პირველი გოლი შეაგდო სერია A-ში.

**პაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 2 ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 3 ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 4 პალერმო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 5 ლივორნო | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 7 კიევო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 8 სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 9 უდინეზე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 10 რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 |
| 11 მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 12 პარმა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 სიენა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 14 მესინა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 15 კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 16 ასკოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 17 ლეჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 18 რეჯინა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | -6 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 19 ტრევიზო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 20 ემპოლი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 4 |
| ადრიანო (ინტერი) | 3 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 3 |
| კრუზი (ინტერი) | 3 |
| მუნტარი (უდინეზე) | 3 |
| ტერლიცი (პალერმო) | 3 |

**IV ტური**
24-25 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| კალიარი | : | რომა |
| ემპოლი | : | ლეჩე |
| ინტერი | : | ფიორენტინა |
| ლაციო | : | პალერმო |
| ლივორნო | : | ასკოლი |
| პარმა | : | იუვენტუსი |
| რეჯინა | : | უდინეზე |
| სამპდორია | : | კიევო |
| სიენა | : | მესინა |
| ტრევიზო | : | მილანი |

### სერია B

**IV ტური**

**კროტონე 0:2 ვიჩენცა**
0:1 შვოკი (20), 0:2 ფისორე (75)

**ვერონა 1:0 კატანძარო**
1:0 ადაილტონი (66)

**არეცო 3:1 ტერნანა**
0:1 ფრიკი (62პ), 1:1, 2:1 აბრუსკატო (78, 86), 3:1 ფლორესი (90)

**ატალანტა 2:1 ტორინო**
1:0 ვენტოლა (19პ), 2:0 ლორია (57), 2:1 სტელონე (63)

**ბარი 0:2 კატანია**
0:1 სეზარი (60), 0:2 მასკარა (70)

**ბრეშა 1:1 ბოლონია**
0:1 ბელუჩი (53), 1:1 სტანკევიჩიუსი (54)

**მოდენა 2:0 აველინო**
1:0 ბუჩი (60), 2:0 კამპედელი (87)

**პესკარა 3:1 ტრემონეზე**
1:0 კამარატა (18), 1:1 მარკესეტი (21), 2:1, 3:1 მატეინი (61პ, 88)

**პიაჩენცა 1:3 მანტოვა**
0:1 ნოსელი (68), 0:2, 0:3 კარიდი (79, 86), 1:3 მარჯოტა (90პ)

**ტრიესტინა 1:1 ალბინოლეფე**
1:0 ტული (19), 1:1 ტესტინი (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 4 | 4 | 0 | 0 | 8:3 | 12 |
| მანტოვა | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| მოდენა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| კატანია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ბრეშა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| არეცო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ვერონა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| კროტონე | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| რიმინი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 5 |
| ბოლონია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ტრიესტინა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| პესკარა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ტერნანა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| პიაჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| ტორინო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| კრემონეზე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ალბინოლეფე | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| კატანძარო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| აველინო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ჩეზენა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### სერია C1/A

**IV ტური**

ფერმანა — პრო სესტო 2:3; ჯულიანოვა — პრო პატრია 3:1; ლუმეცანე — ტერამო 3:1; მონცა — სამბენედეტეზე 3:0; ნოვარა — პიციგეტონე 1:1; პავია — სალერნიტანა 2:1; რავენა — სან მარინო 0:2; სპეცია — ჩიტადელა 1:1. პადოვა — ჯენოა დღეს გაიმართება

### სერია C1/B

**IV ტური**

ჯელა — მასეზე 1:0; აჩირეალე — სანჯოვანეზე 1:1; ფოჯა — ფროზინონე 1:1; გროსეტო — ლუკეზე 1:0; ლანჩიანო — კიეტი 2:0; მანფრედონია — პისტოიეზე 1:0; პერუჯა — მარტინა 3:1; პიზა — სტაბია 1:0

# თავს მოიკლავს თეთრი გუნდი ამაღამ?


AFP ბარსელონიდან

ესპანიოლი — რეალი. მადრიდის „რეალი“ ერთ კვირაში სამჯერ დამარცხდა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. III ტური

**მალიორკა 5:2 სოსიედადი**

1:0 იორგი (4), 1:1 ა. ნოვო (19), 1:2 პრიეტო (44), 2:2, 3:2, 4:2 არანგო (57, 60, 83), 5:2 ლამპროსი (89)
მალიორკა: პრატცი, ბორხა, ნავარო, მასიელი, ბალესტეროსი, პოტენცა, დონი (ოკუბო 55), კამპანო, იორდი (ლამპროსი 87), პერალტა (ტუნი 81), არანგო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
სოსიედადი: რიესგო, ლაბაკა, გარიტანო (ა. ნოვო 2), აიტორ ოსიო, არანბურუ, ბარკერო, მ. ალონსო, პრიეტო (ნიჰატი 58), კოვაჩევიჩი, ურანგა (გაბილონდო 75), მიკელი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: ბარკერო, მ. ალონსო, მიკელი
მსაჯი: აისა გამესი
10 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:2 დეპორტივო**

0:1 ტრისტანი (23), 1:1 ვილა (50), 2:1 მიგელი (80), 2:2 სერხიო (83)
ვალენსია: მორა, აიალა, მიგელი, მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, ვილა (აურელიო 72), აიმარი (ანგულო 82), მისტა (კლუივერტი 76)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
დეპორტივო: მოლინა, რომერო, მ. პაბლო, ანდრადე, კაპდევილა, რუბენი (კოლოჩინი 64), დუშერი, სერხიო, ვალერონი (მომო 70), მუნიტისი, ტრისტანი (ტაბორდა 82)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: აიალა, მარჩენა, ანდრადე, ტრისტანი, მუნიტისი, ალბელდა, მუნიტისი, რომერო
გაძევება: ბარახა (43), მუნიტისი (58)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
45 000 მაყურებელი

**კადისი 1:1 ვილიარეალი**

0:1 ხოსე მარი (38), 1:1 ოლი (45)
კადისი: არმანდო, რ. ლოპესი (მ. სილვა 79), პაცი, დე კინტანა, ვარელა, სუარესი (ბენხამინი 75), პავონი, ფლერკინი, ენრიკე (ესტოიანოფი 65), ოლი, ხონათანი
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
ვილიარეალი: ვიერა, არუაბარენა, გონსალო, ალვარესი, ხავი ვენტა, ხოსიკო, ექტორ ფონტი (როხერი 66), მარკოს სენა, ვალენსია (კასორლა 77), ლუჩო (ფორლანი 70), ხოსე მარი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: მარკოს სენა, რ. ლოპესი, არუაბარენა, ხოსე მარი, ხოსიკო
მსაჯი: ველასკო კარვალიო
20 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:0 რეალი**

1:0 ხარკე (67)
ესპანიოლი: კამენი, ლოპო, დ. გარსია, არმანდო სა, დომი, ხარკე, ე. კოსტა, დე ლა პენია (იაგუ 89), იტო, ლუის გარსია (ფრედსონი 79), კორო (ხონათანი 59)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რეალი: კასილიასი, მ. სალგადო, რობერტო კარლოსი, სერხიო რამოსი, ელგერა, ბაპტისტა, პ. გარსია (გუტი 58), ბექჰემი, რაული, რონალდო, რობინიო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: დ. გარსია, ე. კოსტა, ხონათანი, პ. გარსია, ს. რამოსი, ელგერა, გუტი, ს. რამოსი
გაძევება: ს. რამოსი (87), ბაპტისტა (89)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
39 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:0 სევილია**

1:0 დ. ლოპესი (62)
ოსასუნა: რიკარდო, კუელვარი, კლავერო, ხოსეჩო, ჰ. ფლანო, რ. გარსია, მოა (ფ. მორენო 68), დ. ლოპესი, მ. სოსა, მილოშევიჩი (ფ. ფლანო 84), რომეო (ვებო 60)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
სევილია: პალოპი, დავიდი (პუერტა 75), აიტორ ოსიო, დ. ალვესი, ხ. ნავასი, ადრიანო, მარესკა (რენატო 60), მარტი, კეპა, კანუტე (ლუის ფაბიანო 60)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: რ. გარსია, ხ. ფლანო, ხოსეჩო, კეპა, ადრიანო, დ. ალვესი, მარტი, კეპა
გაძევება: კლავერო (70), კეპა (88)
მსაჯი: პერეს ლასა
13 712 მაყურებელი

**ალავესი 3:4 ხეტაფე**

1:0 ნენე (6პ), 1:1 გვილანი (7), 2:1 ნენე (12), 2:2, 2:3 რიკი (25, 38), 2:4 პერნია (50), 3:4 ნენე (66)
ალავესი: ბონანო, ხუანიტო, სარიეგი, ტელესი (მენა 68), პოლი (ვესლი 45), დე ლუკასი, ედუ ალონსო, ასტუდილიო, ხანდრო (არტურო 83), ალოიზი, ნენე
მწვრთნელი: კუკი კოსი
ხეტაფე: ლუისი, კონტრა, ბელენგერი, ანიბალი, მ. პერნია, კუბილო, მ. კოტელო, სელესტინი, გავილანი (პულიდო 72), რიკი (პაჩონი 81), დ. გუისა (პაუნოვიჩი 88)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ხუანიტო, ვესლი, სელესტინი, ანიბალი, კონტრა, მ. პერნია
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
12 347 მაყურებელი

**ბილბაო 1:2 მალაგა**

0:1 ედგარი (84), 1:1 ლაკრუსი (89), 1:2 იდალგო (90)
ბილბაო: არანსუდია, ლაკრუსი, ესპოზიტო, პრიეტო, ორბაისი (გერერო 78), იესტე, ირაოლა, გურპეგი, გუტიერესი, ეჩევერია (ტიკო 58), ლორენტე
მწვრთნელი: ხოსე მენდილიბარი
მალაგა: არნაუ, ალექსისი (იდალგო 63), კ. ნავასი, ვალკარსე, დურანი, ხერარდო, ნაჩო, დუდა, როდრიგესი (ედგარი 72), ანდერსონი, მორალესი (სალვა 88)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: ეჩებერია, ორბაისი, ვალკარსე, ედგარი, როდრიგესი
მსაჯი: პერეს ბურული
36 000 მაყურებელი

**სელტა 0:1 რასინგი**

0:1 კასკერო (60)
სელტა: პინტო, ანხელი, პლასენტე, კონტრერასი, სერხიო, ობუინა, ნუნიესი (პერერა 72), გ. ლოპესი (ხ. გერერო 72), ირინეი, კანობიო (სილვა 14), ბაიანო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
რასინგი: აუატე, აიოზე, პინილიოსი, მორატონი, ვიტოლო, ს. დალმა (დ. აგანსო 68), ხ. კასკერო, ფელიპე, სამუელი, სერანო (მატაბუენა 89), ანტონიტო (რაული 81)
მწვრთნელი: მანოლო პესიადო
გაფრთხილება: სერხიო, მორატონი, პინილიოსი, აუატე, სამუელი, აიოზი, სერანო
მსაჯი: რუდინოს პერესი
14 500 მაყურებელი

**ბეტისი 0:0 სარაგოსა**

ბეტისი: კონტრერასი, ვარელა, კასტელინი, ნანო, მელი, ხოაკინი, რივერა, ისრაელი (ხისკო 64), ნ. ანხელი, დანი (კაპი 44), ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
სარაგოსა: ვალბუენა, ალვარო, მილიტო, ტოლედო, მოვილია, სავიო, პონციო, ოსკარი (კანი 66), საპატერი, ევერტონი (ს. გარსია 81), დ. მილიტო (ლაფიტა 49)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ნანო, ხისკო, საპატერი, პონციო, ალვარო, ვალბუენა, მილიტო
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
35 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 2:1 ბარსელონა**

0:1 ეტოო (6), 1:1 ტორესი (17), 2:1 კეზმანი (46)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პაბლო, ველასკო, პერეა, ა. ლოპესი, მაქსი, ლუჩინი, გაბი (გარსია კალვო 69), პეტროვი (ზაინოსი 83), ტორესი, კეზმანი (გალეტი 90)
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ოლეგერი, ედმილსონი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო (ვან ბომელი 75), ხავი, მარკესი (ლარსონი 57), ჟიული (ინიესტა 65), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
გაფრთხილება: პეტროვი, ტორესი, დეკო, რონალდინიო
გაძევება: პაბლო (67)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო
48 000 მაყურებელი

**ყველას**, ყველას, ყველას ვისაც გული თეთრი და მეფური აქვს: დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ ფაქტია და უნდა ვახსენოთ: „რეალმა“ ზედიზედ მესამე თამაში წააგო! ამჯერად ეს ბარსელონაში მოხდა, ოღონდ, თუ შეღავათია „ესპანიოლთან“. თამაშის დამთავრებამდე 22 წუთი რომ რჩებოდა ცნობილმა ივან დელა პენიამ საჯარიმოდან ოსტატურად ჩააწოდა ბურთი მადრიდელ მცველთა ოთხეულის უკან შეპარულ დანიელ ხარკეს, რომელმაც თავი ზუსტად დაარტყა.

ბოლო წუთებზე „რეალს“ ორი ფეხბურთელი გაუძევეს მოედნიდან, თან ორივე ახალშეძენილი და გვარიანად რეკლამირებული. ჯერ სერხიო რამოსმა დაარღვია წესები სახეირო პოზიციაში გასულ დელა პენიასთან ბრძოლაში, შემდეგ კი ჟულიო ბაპტისტა გაუყენეს „კუდიგორის გზას“, რადგან მან ჯონათან სორიანოს წინააღმდეგ ძალიან იუხეშა და კანონით იქაურობას უნდა „გარიდებოდა“.

ასე და ამგვარად, „რეალის“ საქმე მართლა საგანგაშოდაა, რადგან ასეთი კალიბრის გუნდს მსგავსი კოშმარები არ უნდა ემართებოდეს. კოშმარი აი ასეთია: წინა შაბათს ესპანეთის ჩემპიონატში მარცხი „სელტასთან“ 2:3, შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში 0:3 ლიონში და ინებეთ, გუშინდელი ამბავი ბარსელონაში.

და ბარსელონას ხსენებაზე... „ბარსა“ რის „ბარსაა“ „რეალს“ რამეში ჩამორჩეს. წააგო „რეალმა“? ინებეთ: წააგო „ბარსამაც“. კატალონიის საამაყო მადრიდში, „ატლეტიკოსთან“ თამაშობდა, ხოლო ატლეტიკო ბოლო 23 წუთის განმავლობაში კაცნაკლული იყო — ცენტრალური მცველი პაბლო იბანესი გაუძევეს. კარლოს ბიანკის გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ანგარიში სამუელ ეტოომ კი გახსნა, მაგრამ ისინი არ შეშინებულან, პირიქით ბედის ჩარხს შემობრუნება აიძულეს.

და შეხედეთ სად არის „ხეტაფე“! ასეთი რამ ამ არაფრის მთქმელი მადრიდული გუნდის ისტორიაში პირველად ხდება. არადა, რა თამაში მოიგო „მენდისოროსაზე“, ნამდვილი თრილერი შვიდი გოლით... პირველ ტაიმში „ხეტაფე“ ორჯერ ჩამორჩებოდა მასპინძლებს, რომელთაც პენალტიც კი დაარტყეს, მაგრამ ისე ივაჟკაცა, რომ ტაიმის მიწურულს დაწინაურდა. მეორე ნახევარი რომ დაიწყო სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს და 4:2 გახადეს — მარიანო პერნიამ ბურთი საჯარიმოდან ჩაახვია — თუმცა ორგოლიანი უპირატესობით მაინც ვერ მოიგეს, რადგან „ალავესს“ პენალტების და ბრაზილიელი ნენეს [illegible]. მოკლედ, იმის [illegible] ნენემ ჰეთ-თრიქი შეასრულა და სამიდან ორი თერთმეტი მეტრიდან შეაგდო.

საოცარი ამბები მოხდა ბასკეთში, ბილბაოში, „სან მამეზე“, სადაც მთელი დრამა ბოლო წუთებზე დატრიალდა. ასე იყო: ანგარიში 84-ე წუთზე სტუმრებმა, მალაგელებმა გახსნეს რაშიც მათ „ატლეტიკოს“ დაცვის შეცდომამ შეუწყო ხელი, თუმცა ბასკებმა მოინდომეს და 90-ე წუთზე მცველმა მარი ლაკრუზმა თავური დარტყმით გაქვითა. შემდეგ გაირკვა, რომ ეს მატჩის ბოლო გოლი არ ყოფილა — მსაჯის წამატებულ წუთებში სტუმარმა ანტონიო იდალგომ კონტრშეტევა ძალიან ლამაზი დარტყმით და სამი ქულით დააგვირგვინა.

„ვალენსიამ“ და „დეპორტივო ლა კორუნიამ“ 2:2 ითამაშეს. მატჩი დრამატული გამოდგა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა დაცვაში უხეში შეცდომა დაუშვეს და დიეგო ტრისტანს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცეს, რასაც მოედანზე მათი უმცირესობაში დარჩენა მოჰყვა, რადგან მანუელ პაბლოს წინააღმდეგ უხეშობის გამო რუბენ ბარახა გაუშვეს გასახდელში.

მაგრამ „ვალენსიამ“ გაათანაბრა — დავიდ ვილას პენალტი გაახელმეორებინეს, ერთი ხნის შემდეგ კი „დეპორის“ პედრო მუნიტისი მეორე ყვითლისთვის გააძარახეს. ჰოდა, გუნდებმაც თითო გოლი კიდევ გაცვალეს. ჯერ მიგელ მონტერიომ ყუმბარისებური დარტყმით მასპინძლები გაახარა, შემდეგ კი სერხიომ უსწრაფესი კონტრშეტევით საბოლოოდ გაათანაბრა.

**პაატა ძიძია**

### სეგუნდადივიზიონი

**IV ტური**

**ალმერია 1:0 სიუდადი**
1:0 სორიანო (53)

**კასტელონი 1:2 ჰერკულესი**
0:1 მოისესი (93), 1:1 ორდიკესი (60), 1:2 ტოჩამო (78)

**მალაგა B 1:0 სპორტინგი**
1:0 უსერო (63)

**რეალი B 1:2 ტენერიფე**
1:0 სოლდადო (15), 1:1 მორალი (35), 1:2 მაიკელი (65)

**უელვა 2:0 ვალიადოლიდი**
1:0 როსუ (29), 2:0 უჩე (86)

**ნუმანსია 1:1 ხერესი**
0:1 გეიხო (52), 1:1 პალასიოსი (59)

**ალბასეტე 1:0 ლორკა**
1:0 პაჩეკო (54პ)

**ხიმნასტიკი 1:0 ეიბარი**
1:0 ირურსუნი (28)

**ელჩე 2:0 პოლი ეხიდო**
1:0 ფრანკოვსკი (70), 2:0 გილი (80)

**მურსია 0:0 ლევანტე**

**ფეროლი 0:0 ლეიდა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| სიუდად მურსია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ტენერიფე | 4 | 3 | 0 | 1 | 9:7 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ლეიდა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| უელვა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ალმერია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| მურსია | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ნუმანსია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 |
| ხერესი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 |
| ელჩე | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| პოლი ეხიდო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| ვალიადოლიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ხიმნასტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| ჰერკულესი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| ლორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| მალაგა B | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ალბასეტე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| რეალი B | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 3 |
| ფეროლი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ეიბარი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |
| კასტელონი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:6 | 0 |

| № | გუნდი | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხეტაფე | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 |
| 2 | დეპორტივო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 3 | სელტა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 4 | ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 5 | ესპანიოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 6 | ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 | ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 | ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 9 | კადისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 | სევილია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 11 | ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 12 | მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 13 | სარაგოსა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 14 | რეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 15 | რასინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 16 | მალაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 17 | სოსიედადი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | -5 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | -6 | 0 |
| 18 | ვილიარეალი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 19 | ატლეტიკო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 20 | ალავესი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რიკი (ხეტაფე) | 3 |
| სამუელ ეტოო (ბარსელონა) | 3 |
| ნენე (ალავესი) | 3 |
| არანგო (მალიორკა) | 3 |

**IV ტური**

21-22 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ვილიარეალი | სელტა |
| სევილია | კადისი |
| სარაგოსა | ოსასუნა |
| დეპორტივო | ბეტისი |
| ბარსელონა | ვალენსია |
| სოსიედადი | ატლეტიკო |
| ხეტაფე | მალიორკა |
| მალაგა | ალავესი |
| რეალი | ბილბაო |
| რასინგი | ესპანიოლი |

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. VII ტური**

**მონაკო 0:2 რენი**

0:1 კალესტრომი (36), 0:2 გურკუფი (59)
გაძევება: ზიკოსი, სკილაჩი (55, 66, მონაკო)

**სტრასბური 1:1 ლანსი**

0:1 დინდანი (42), 1:1 პაგისი (62)
გაძევება: ა. დიარა (45, ლანსი)

**ოსერი 2:0 აიაჩო**

1:0 აკალე (75), 2:0 ლუინდულა (85)

**მარსელი 2:1 ტროა**

1:0 რიბერი (22), 2:0 ლამუჩი (34), 2:1 გრაქსი (55პ)

**ნანტი 2:0 ტულუზი**

1:0, 2:0 დიალო (17, 32)

**ნანსი 1:1 მეცი**

1:0 ლუისი (1), 1:1 რენუარი (73)

**ლილი 4:0 ნიცა**

1:0 მაკუნი (5), 2:0 აჩიმოვიჩი (77), 3:0 ოდემვენგი (81), 4:0 გიგაქსი (85)
გაძევება: ტჩატო (59, ნიცა)

**ლე მანი 2:1 სოშო**

1:0 პატკუერი (29), 1:1 ილანი (61), 2:1 ტულიო (68)

**ბორდო 1:1 ლიონი**

1:0 შმიცერი (7), 1:1 ვილტორდი (64)

**სენტ ეტიენი 3:0 პსჟ**

1:0 მენდი (36), 2:0 პიკონინი (53), 3:0 ფეინდუნო (79)



AFP ლოლოდან

ლილი — ნიცა 4:0. მასპინძელი მილენკო აჩიმოვიჩი ნიცელების სემი ტრაორესა და ანტერ იაიას გარემოცვაში

# ცოტა დაუმსახურებელი ამბავი

**სილვან ვილტორდმა** მეორე ტაიმში ანგარიში გაათანაბრა და „ლიონს“ ბორდოში ის ქულა მოაპოვებინა, რომელსაც მაინც და მაინც არ იმსახურებდა. და მაინც საინტერესო მოსასმენია, რომ ამ ფრის წყალობით ლიონელთა მიჯრით დაუმარცხებელი მატჩების რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა.

როგორც მოგახსენეთ „ლიონს“ კარგად არ უთამაშია, რაც, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გასული კვირის შუაში, ჩემპიონთა ლიგაში, მადრიდის „რეალთან“ 3:0 გამარჯვებისთვის მთელი ძალების მიხარჯვით იყო გამოწვეული. მერედა, თავის მხრივ „ბორდოც“ ყინჩი გუნდია, ჩემპიონობა უნდა და გასაკვირიც არ არის, რომ ანგარიში გახსნა: მეშვიდე წუთი იყო, როდესაც ცნობილმა ჩეხმა ნახევარმცველმა, „ლივერპულის“ შემადგენლობაში ჩემპიოთა ლიგის ბოლო გათამაშების გამარჯვებულმა ვლადიმერ შმიცერმა დაახლოებით 20 მეტრიდან ორი მცველის მოტყუების შემდეგ ისეთი დასცხო, რომ სტუმრების მეკარეს, გრეგორი კუპეს შანსი არ დაუტოვა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემპიონმა მაინც გაათანაბრა. ეს ამბავი 64-ე წუთზე მოხდა, როდესაც ვილტორდმა მცველის, ანტონი რეველერის პასი აქცია გოლად. სხვათაშორის, საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე „ბორდომ“ კიდევ ერთი გოლი შეაგდო, მაგრამ შეცვლაზე შესულ ნახევარმცველ ფერნანდოს თანამსაჯმა ოფსაიდი აუწია.

მატჩის შემდეგ ლიონელთა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ძნელი მატჩი იყო, რომლის პირველ ტაიმშიც თანმიმდევრულობა გვაკლდა, შესვენების მერე კი ყველაფერი მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ფრითაც კმაყოფილი გახლავართ, რადგან თვალნათლივ ჩანდა, რომ მოწინააღმდეგე ფიზიკურად უკეთეს ფორმაში იყო.“

„ბორდოს“ ბრაზილიელი თავკაცი რიკარდუ: „ჩვენ უნდა მოგვეგო. თან, სულაც არ მგონია, რომ მსაჯმა ჩვენი გოლი სამართლიანად არ ჩათვალა, თუმცა ამის გარდაც გვმართებდა მეორე გოლის შეგდება. ერთი სიტყვით, შეტევის ბოლო ფაზაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.“

რაც შეეხება შემოდგომის სიურპრიზს, ლიგაში ახალაღზევებულ „ლე მანს“, იგი ფრანგ გულშემატკივართა გაოცებას აგრძელებს. ამჯერად მას „სოშო“ შემოეხრამუნა და „ლიონისგან“ ხელის ერთ გაწვდენაზე ტრიალსაც ბედავს“.

„ლე მანმა“ ანგარიში თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში გახსნა, როდესაც ნახევარმცველმა იოან უტკეურმა დაისუკე მაცუის ჩაკიდებული ბურთი სტუმართა კარში გადაგზავნა. შემდეგ სოშოელებმა გაათანაბრეს, მაგრამ ცოტა ხნით, სანამ ბრაზილიელი თავდამსხმელი დე მელო „ლე მანის“ გამარჯვების გოლს არ შეაგდებდა.

„ლილმა“ მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში „ბენფიკასთან“ წააგო, მაგრამ ამ გუნდის იღბლად და სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წაგებამ არ დათრგუნა და ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებულმა მოედანზე ათ მოთამაშემდე შემცირებულ „ნიცს“ 4:0 მოუგო. საინტერესოა, რომ მეორე ტაიმში მატჩი ათი წუთით შეწყდა, რადგან ადგილობრივმა ელექტროსისტემამ [illegible].

გრეგორი [illegible] „[illegible]“ ნახევარმცველი: „დიდებული შედეგი მივიღეთ. მერედა, ეს ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა სწორედ ახლა“.

**ბაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:4 | 17 |
| ლე მანი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| პსჟ | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ლანსი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:5 | 12 |
| ლილი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:5 | 12 |
| ბორდო | 7 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 12 |
| ნანტი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:4 | 11 |
| სტ. ეტიენი | 6 | 2 | 4 | 0 | 4:1 | 10 |
| აიაჩო | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 10 |
| ოსერი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:12 | 10 |
| ტრუა | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| რენი | 7 | 3 | 0 | 4 | 8:17 | 9 |
| მარსელი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ნიცა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| მონაკო | 7 | 2 | 1 | 4 | 4:8 | 7 |
| სოშო | 7 | 1 | 2 | 4 | 3:6 | 5 |
| ტულუზი | 7 | 1 | 2 | 4 | 2:9 | 5 |
| ნანსი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:7 | 4 |
| სტრასბური | 7 | 0 | 4 | 3 | 2:5 | 4 |
| მეცი | 7 | 0 | 4 | 3 | 2:9 | 4 |

**II დივიზიონი. VIII ტური**

ბასტია — კლერმონი 4:0; ბრესტი — ამიენი 0:1; შატორუ — ვალანსი 1:1; კრეტეი — გენგამი 2:1; დიჟონი — ლორიანი 0:0; გრენობლი — ისტრი 0:0; გენიონი — სეტე 3:3; ლე ავრი — ლავალი 4:0; მონპელიე — რეიმსი 0:0. *კაენი — სედანი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრეტეი | 8 | 5 | 3 | 0 | 16:5 | 18 |
| ბასტია | 8 | 5 | 2 | 1 | 15:6 | 17 |
| ლორიანი | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 |
| სედანი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:6 | 14 |
| ვალანსი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:9 | 13 |
| შატორუ | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| ლე ავრი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:11 | 11 |
| ამიენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | 11 |
| ისტრი | 8 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 11 |
| გენიონი | 8 | 2 | 5 | 1 | 7:7 | 11 |
| გრენობლი | 8 | 3 | 2 | 3 | 5:8 | 11 |
| ბრესტი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | 10 |
| გენგამი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:6 | 8 |
| რეიმსი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:6 | 8 |
| მონპელიე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| კლერმონი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:12 | 8 |
| დიჟონი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:7 | 7 |
| ლავალი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:13 | 6 |
| კაენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | 5 |
| სეტე | 8 | 0 | 5 | 3 | 7:11 | 5 |

## რუსეთი

**პრემიერლიგა**

**XXIII ტური**

**რუბინი 4:2 ალანია**

1:0 სკოტი (63), 1:1 ჯ. ბაზაევი (54), 2:1 დომინგესი (68), 2:2 ჯ. ბაზაევი (81პ), 3:2 ჩიჟეკი (83), 4:2 კალისტო (88)
რუბინი: კოლინკო, ფედოროვი, კალისტო, სალუქვაძე, სკოტი, სიბაია, რალფი (ჩიჟეკი 46), ასტაფიევსი, ძინძლაძე (დომინგესი 60), ვასილიევი, ბაირამოვი (ბუხაროვი 60)
ალანია: რადიჩი, ხიმენესი, ჯორჯევიჩი, აგაევი (კუსოვი 77), მასიალი, გრუიჩი (ლუნგლუ 84), ოკორონკვო, გ. ბაზაევი, ჯ. ბაზაევი, გოგნიევი, პიმენოვი (დემეტრაძე 59)

**სპარტაკი 2:1 ტომი**

0:1 კლიმოვი (15), 1:1 კოვალჩუკი (17), 2:1 პავლიუჩენკო (45)

**მასკვა 2:1 ტერეკი**

1:0 კირიჩენკო (35), 1:1 კორომანი (64პ), 2:1 კირიჩენკო (90)

**ამკარი 4:1 დინამო**

1:0 ბულორუკოვი (23), 2:0 მაკაროვი (45), 3:0, 4:0 ვოლკოვი (60, 68), 4:1 დერლეი (83პ)

**ტორპედო 0:4 ზენიტი**

0:1 კერჟაკოვი (8), 0:2 არშავინი (65), 0:3, 0:4 დენისოვი (75, 82)

**შინიკი 3:1 კრილია**

1:0 ლაგევკა (25), 2:0 შტანუკი (39), 2:1 ტოპიჩი (76), 3:1 ხაზოვი (90)

**სატურნი 0:1 ცსკა**

0:1 დუდუ (9)

**როსტოვი 1:1 ლოკომოტივი**

1:0 ოსინოვი (24), 1:1 სენნიკოვი (83)
*რატი ალექსიძე (როსტოვი) და მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი) არ უთამაშიათ*

# დინამოს პერმული კრახი

**რუსული** პრემიერლიგის 23-ე ტურში პერმის „ამკარმა“ მოსკოვის „დინამო“ 4:1 გაანადგურა. ჩემპიონატის პირველ წრეში პერმელებს მოსკოვში 2:1 მოეგოთ და „პორტუგალიური დესანტით“ შემაგრებული დედაქალაქური გუნდი სირცხვილის ჩამორეცხვას პირველივე წუთებიდან შეეცადა — დერლეიმ და კოლოდინმა მასპინძლებს სახიფათოდ შეუტიეს.

ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა. მაკაროვის კუთხურს ბელორუკოვი ადგილზე დაუხვდა და სტუმართა მეკარემაც მისი დარტყმის უკუგდება ვეღარ შეძლო. თქმა არ უნდა, ელიტარული „დინამო“ მასპინძლებს საპასუხო იერიშებით დაატყდა თავს, თუმცა პირველ ტაიმში მოსკოველებმა „ამკარის“ შეშფოთება მხოლოდ ერთხელ მოახერხეს — მანიშემ ახლო მანძილიდან ძლიერად გაისროლა, მაგრამ... შესვენებამდე მცირე ხნით ადრე პერმელებმა ისევ დაამწუხრეს მოსკოველთა მეკარე ნუნუ, მაკაროვმა თითქოს უხეიროდ დაარტყა, თუმც ძელსასხლეტილი ბურთი მაინც კარის ბადეში გაეხვია და გუნდებიც 2:0-ზე დაცილდნენ ერთმანეთს.

მეორე ტაიმში „დინამოს“ სტიქიურ შეტევებს პირიქითა შედეგი მოჰყვა — პერმელების ვოლკოვმა კონტრიერიშების დროს ორი ლამაზი ბურთი კიდევ შეაგდო. 68-ე წუთზე ანგარიში უკვე 4:0 იყო, ოღონდ ადგილობრივ ფანობას დიდად არ გაუხარია — 21-ე ტურში მოსკოვის „ლოკომოტივის“ 4 საშინელი გოლი და 3:4 წაგებული შეხვედრა არ დავიწყებიათ. ოთხისა რა მოგახსენოთ და დერლეიმ მატჩის მიწურულს ერთი „ცალუღელა“ პენალტი კი შეირგო საბოლოოდ 4:1 და პერმელმა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს.

„ტორპედოს“ არენაზე „მოსკვამ“ გროზნოს „ტერეკს“ რთულ ბრძოლაში 2:1 მოუგო. პირველი გოლი კირიჩენკომ 35-ე წუთზე გაიტანა — ეკტორ ბრაკამონტეს პასის შემდეგ მოსკოველთა მოთამაშემ „ტერეკის“ ნიგმატულინს შანსი აღარ დაუტოვა. შესვენების მერე მასპინძლებმა, აქაოდა ვიგებთო, გული ზედმეტად დაიარხეინეს, რაც კინაღამ ძვირად დაუჯდათ. ჯერ 64-ე წუთზე სერბმა კორომანმა თავისი მონადირებული პენალტი გარდაქმნა გოლად, სულ ცოტა ხანში კი იგივე მისი გადაცემა „მოსკვას“ გოლკიპერთან პირისპირ გასულმა ლარუს კინგასტონმა ვერ გამოიყენა. ამის მერე კირიჩენკომ მეორეჯერ გაამწარა ნიგმატულინი, თუმც მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს და ანგარიში კვლავ 1:1 დარჩა. 78-ე წუთზე ბრაზილიელმა ედერმა ისეთი დაჭედა კარის ძელს, რომ ვინძლო „მოსკვას“ გოლკიპერ ჟევნოვს და მის მცველებს სული კოჭებში გაეპარათ, ოღონდ გოლს კი გადაურჩნენ... მერე არბიტრმა გონჩარმა დამხვდურებს კიდევ მოჰპარა დამსახურებული 2:1 — „ტერეკის“ საჯარიმოზე იოპი მოცელეს და მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ბოლოს, 92-ე წუთზე ისევ კირიჩენკომ ივარგა და ნიგმატულინს საჯარიმო დარტყმიდან შეუგდო.

იცხაკ შუმის „ალანია“ ყაზანის „რუბინთან“ დამარცხდა. ბაზაევის ორმა გოლმა გიორგი დემეტრაძეს და კამპანიას ოდენ მცირედით არგო — თათართა მთავარგუნდმა მეტოქეზე ორჯერ მეტი გაიტანა და თამაშიც ღირსეულად მოიგო. „რუბინიდან“ თავი სკოტიმ, დომინგესმა, ჩიჟეკმა და კალისტომ გამოიჩინეს. მოსკოვურმა „სპარტაკმა“ კი განახლებულ „ლუჟნიკებზე“ „ტომს“ 2:1 მიართვა და რუსთა პრემიერლიგაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაც გაინაღდა. ანატოლი ბიშოვეცის „ტომმა“ ანგარიში მე-14 წუთზე ხორკავი ვიჩის თავურის წყალობით გახსნა. ორი წუთის მერე კოვალჩუკმა ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით ტაბლოზე საყაიმო ციფრები აანთო, პირველი ტაიმის დამთავრებამდე ცოტა ადრე კი პავლიუჩენკომ გამარჯვების ბურთი გაიტანა.

ბევრი საინტერესო მოხდა გუშინდელ მატჩებშიც. მოსკოვის „ლოკომოტივი“ აშკარა აუტსაიდერთან „როსტოვთან“ სენსაციურ მარცხს სენნიკოვის შეხვედრის მიწურულს გატანილმა გოლმა იხსნა. მეორე დედაქალაქურმა კლუბმა ცსკა-მ დუდუს კინკილა ბურთით მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა „სატურნთან“. „ზენიტმა“ ბრწყინვალედ იბურთავა და „ტორპედოს“ ბდღვირი ადინა. „კრილია“ კი ცოტა არ იყოს მოულოდნელად დამარცხდა იაროსლავში.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 23 | 13 | 9 | 1 | 36:13 | 48 |
| ცსკა | 23 | 12 | 7 | 4 | 36:14 | 43 |
| ზენიტი | 23 | 12 | 7 | 4 | 40:19 | 43 |
| სპარტაკი | 23 | 12 | 6 | 5 | 39:22 | 42 |
| მოსკვა | 23 | 11 | 7 | 5 | 26:14 | 40 |
| რუბინი | 23 | 10 | 8 | 5 | 29:23 | 38 |
| შინიკი | 23 | 8 | 9 | 6 | 19:19 | 33 |
| ტორპედო | 23 | 7 | 9 | 7 | 24:25 | 30 |
| სატურნი | 23 | 7 | 7 | 9 | 20:18 | 28 |
| დინამო | 23 | 9 | 1 | 13 | 26:37 | 28 |
| ამკარი | 23 | 5 | 11 | 7 | 22:29 | 26 |
| ტომი | 23 | 4 | 9 | 10 | 15:26 | 21 |
| კრილია | 23 | 4 | 8 | 11 | 21:37 | 20 |
| როსტოვი | 23 | 4 | 7 | 12 | 14:30 | 19 |
| ალანია | 23 | 4 | 7 | 12 | 19:40 | 19 |
| ტერეკი | 23 | 4 | 4 | 15 | 15:35 | 16 |

# ბრეივ ჰართსი!
## რეინჯერსი კი დაიღლება

### შოტლანდია
**პრემიერლიგა. VII ტური**

**დანდი იუნ. 2:0 ლივინგსტონი**
1:0 ფერნანდესი (34), 2:0 კანერო (76)

**დანფერმლაინი 0:2 აბერდინი**
0:1 კროუფორდი (35), 0:2 სევერინი (45)

**ინვერნესი 0:1 ჰართსი**
0:1 შკახელი (28)

**მოზერველი 5:0 ფოლკირკი**
1:0 ჰამილტონი (32), 2:0, 3:0 ფორანი (42, 46), 4:0 ფაგანი (58), 5:0 მაკდონალდი (74)

**რეინჯერსი 3:0 კილმარნოკი**
1:0 პრსო (9პ), 2:0 ფერგიუსონი (67), 3:0 გრირი (82ს.კ.)

**ჰიბერნიანი 0:1 სელტიკი**
0:1 ს. პეტროვი (5)



სტილიან პეტროვმა „სელტიკს" მორიგი გამარჯვება მოუტანა

**ჩემპიონი**, „რეინჯერსი" მეორეზე ავიდა, ოღონდ იქ მარტო არ არის. საამისოდ ქართველი ფეხბურთელებისგან აწ უკვე დაცლილ გუნდს შინ „კილმარნოკის" 3:0 დამარცხება მოუხდა. ხოლო, რაც შეეხება ლიდერს, იგი, როგორც ცხრილში ხედავთ, კვლავ „ჰართსია" და კვლავ იგებს. ამჯერად „ჰართსმა" სტუმრად „ინვერნესი" დაამარცხა.

დავუბრუნდეთ „რეინჯერსს". „კილმარნოკთან" შეხვედრაში ანგარიში პენალტით დადო პრსომ გახსნა. მეორე გოლი გლაზგოელთა კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა შეაგდო, ხოლო მესამე „კილმარნოკის" მცველმა გორდონ გრირმა საკუთარ კარიში გაიტანა და ამით საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მისი გუნდისთვის ეს ტური ყოველმხრივ ნავსიანი იყო.

ბუნებრივია, მომხდარით ძალიან კმაყოფილი გახლდათ „რეინჯერსის" მწვრთნელი ალექს მაკლიში. ნუ დაგვავიწყდება, რომ რამდენიმე დღის წინ მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში „პორტუსთან" 3:2 მოიგო.

რადიო BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში მაკლიშმა განაცხადა: „ძალიან გადატვირთული ექვსი დღე გვქონდა. იცით, რა იყო ნიშანდობლივი? ჩვენს ფეხბურთელებს შორის ყველაზე გამოცდილმა დადო პრსომ გასახდელში შემობრუნების შემდეგ ბიჭებს ასე მიმართა: მაგრები ხართ ბიჭებო, ოღონდ იცოდეთ, ასე იქნება ჩემპიონთა ლიგის ყოველი მატჩის შემდეგ. ძალიან დავიღლებით. პირველ ტაიმში „კილმარნოკს" ჰქონდა რამდენიმე მომენტი, ასე, რომ პატარა შიშიც ვჭამეთ, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩვენმა სისტემამ გაცილებით უკეთ იმუშავა და დავრწმუნდი, რომ სწორად ვმუშაობთ".

ხოლო „ჰართსი", როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საოცარი შედეგით მიიწევს წინ — შვიდი ტურიდან შვიდი გამარჯვება აქვს. და კიდევ ერთი დიდებული ან თუ გნებავთ საოცარი შედეგი: ჩეხმა რუდი შკასელმა ამ შვიდი თამაშიდან უკლებლივ ყველაში გაიტანა გოლი.

„ჰართსის" მწვრთნელი ჯორჯ ბარლი: „შეტევაში დღეს შვიდი მატჩიდან ყველაზე ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ დაცვით ნამდვილად კმაყოფილი გახლავართ. გოლი არ გაგვიშვია და სამი ქულა მოვიპოვეთ".

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 7 | 7 | 0 | 0 | 20:4 | 21 |
| სელტიკი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:8 | 16 |
| რეინჯერსი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:8 | 13 |
| ჰიბერნიანი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| კილმარნოკი | 7 | 4 | 1 | 2 | 16:13 | 13 |
| მოზერუელი | 7 | 3 | 1 | 3 | 18:16 | 10 |
| აბერდინი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ინვერნესი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| დანდი იუნ. | 7 | 2 | 2 | 3 | 10:13 | 8 |
| ფოლკირკი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:16 | 4 |
| დანფერმლაინი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | 2 |
| ლივინგსტონი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:18 | 1 |

**I დივიზიონი. VI ტური**
ჰამილტონი — ერდრი 1:1; როს ქაუნთი — ბრეჩინი 1:0; სტ. ჯონსტონი — დანდი 1:1; სტ. მირენი — კლაიდი 2:0; სტრენრარი — ქუინ ოფ საუთ 0:0

**II დივიზიონი. VI ტური**
ფორფარი — დამბარტონი 2:0; მორტონი — ალოა 5:2; გრეტნა — პარტიკ თისლი 2:2; რეით როვერსი — ეარი 3:3; სტირლინგი — პიტერჰედი 1:3

**III დივიზიონი. VI ტური**
ბერიკი — არბოთი 3:0; ქოუდენბითი — მონტროუზი 2:0; ელგინი — ალბიონი 2:2; ქუინზ პარკი — ისტ სტირლინგი 3:0; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 2:1

### თურქეთი
**სუპერლიგა. VI ტური**
სივასფორი — ტრაბზონი 2:1; ანკარაგიუჯიუ — გენჩლერი 1:1; ქაისერი — რიზე 3:1; კონია — დიარბაქირი 5:1; მალათია — დენიზლი 0:1; მანისა — გალათასარაი 1:4; ანკარა — სამსუნი 3:3; ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 1:2; გაზიანთეფი — ერჯიესი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 16 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 4 | 2 | 0 | 13:7 | 14 |
| ქაისერი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| ერჯიესი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:5 | 12 |
| ტრაბზონი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| სივასფორი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:5 | 11 |
| კონია | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| გაზიანთეფი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ანკარა | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| მანისა | 6 | 1 | 2 | 3 | 10:10 | 5 |
| სამსუნი | 6 | 1 | 2 | 3 | 11:15 | 5 |
| დენიზლი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| დიარბაქირი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | 5 |
| რიზე | 6 | 1 | 1 | 4 | 4:8 | 4 |
| გენჩლერი | 6 | 0 | 4 | 2 | 2:6 | 4 |
| ანკარაგიუჯიუ | 6 | 0 | 3 | 3 | 5:9 | 3 |
| მალათია | 6 | 0 | 3 | 3 | 5:14 | 3 |

### საბერძნეთი
**ეროვნული ლიგა. III ტური**
კალითეა — ოლიმპიაკოსი 0:3; აკრატიტოსი — ლარისა 0:0; ატრომიტოსი — ოფი 4:0; პანიონიოსი — იონიკოსი 3:3; ქსანთი — კალამარია 2:0; აეკ — ეგალეო 1:1; ლევადიაკოსი — პანათინაიკოსი 0:0. *ირაკლისი — პაოკ დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:0 | 9 |
| ქსანთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ატრომიტოსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| ლარისა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| აეკ | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ეგალეო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| აკრატიტოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| კალამარია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| იონიკოსი | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| ლევადიაკოსი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| პანიონიოსი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:9 | 2 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| პაოკ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ოფი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| კალითეა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| ირაკლისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### ჰოლანდია
**ერედივიზიონი. V ტური**

**ალკმაარი 4:2 აიაქსი**
0:1 სნეიდერი (10), 1:1, 2:1 შ. არველაძე (35, 37), 2:2 სნეიდერი (45), 3:2, 4:2 პერესი (56, 58)
ალკმაარი: ტიმერი, ოპდამი, იალიენსი, დეზეური (სტეინსონი 83), დე კლერი, ლანძაატი, სექტიუ, შაარსი (ბუსკერმოლენი 83), შ. არველაძე, ვან გალენი, პერესი (ჰისეგემსი 86)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაძევება: ლინდენბერგი (88, აიაქსი)

**ფეიენოორდი 5:1 ჰერენვენი**
0:1 ილდირიმი (12), 1:1 კუიტი (56), 2:1 ბაია (67), 3:1 კუიტი (73), 4:1 ბაუვე (76), 5:1 ს. კალუ (90პ)
გაძევება: ჰანტელარი (61, ჰერენვენი)

**უტრეხტი 1:0 ვიტესი**
1:0 სომერსი (35)

**ნაიმეგენი 1:1 ბრედა**
0:1 ფერი (27), 1:1 ვან დერ დოლენი (75)

**ჰერაკლესი 0:2 ვალვაიკი**
0:1 შ. კელერი (36), 0:2 ჰოოგენდორფი (75პ)

**როზენდალი 1:1 სპარტა**
1:0 ვაუ (18), 1:1 ოოსტი (54)

**გრონინგენი 1:0 პსვ**
1:0 კორნელისი (44)

**როდა 0:2 ტილბურგი**
0:1 კერეკესი (20), 0:2 კალუვე (56)

**დენ ჰააგი 0:0 ტვენტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 5 | 5 | 0 | 0 | 21:3 | 15 |
| ფეიენოორდი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:3 | 15 |
| ვალვაიკი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:3 | 15 |
| პსვ | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ჰერაკლესი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 |
| ბრედა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| სპარტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| აიაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| გრონინგენი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| ნაიმეგენი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | 5 |
| ტილბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ტვენტე | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| უტრეხტი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| დენ ჰააგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ჰერენვენი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:14 | 4 |
| ვიტესი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| როდა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |
| როზენდალი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:12 | 2 |

**მეორე დივიზიონი. VIII ტური**
აპელდორნი — ემენი 2:3; კამბური — ჰელმონდი 0:0; ექსელსიორი — მაასტრიხტი 1:0; დენ ბოსხი — გრააფსხაპი 2:0; ეინდჰოვენი — ვოლენდამი 1:2; სიტარდი — ალმერე 2:3; იგლსი — ჰაარლემი 3:0; ტელსტარი — ზვოლე 1:3; ვეენდამი — დორდრეხტი 2:0; ვენლო — ოსი 2:0

### დანია
**სუპერლიგა. IX ტური**
ორჰუსი — ოლბორგი 2:4; ნორდსიელანდი — ჰორსენსი 5:0; ოდენსე — სილკებორგი 3:1; სონდერილანდი — ესბიერგი 0:1; ვიბორგი — ბრონდბიუ 3:1; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 9 | 8 | 1 | 0 | 16:4 | 25 |
| ბრონდბიუ | 9 | 6 | 1 | 2 | 17:10 | 19 |
| ვიბორგი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:11 | 17 |
| ოდენსე | 9 | 4 | 3 | 2 | 15:10 | 15 |
| ნორდსიელანდი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 12 |
| მიდტიულანდი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:18 | 12 |
| ოლბორგი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:11 | 10 |
| ესბიერგი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:12 | 8 |
| ორჰუსი | 9 | 2 | 2 | 5 | 14:19 | 8 |
| სილკებორგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| სონდერილანდი | 9 | 2 | 1 | 6 | 11:19 | 7 |
| ჰორსენსი | 9 | 1 | 4 | 4 | 2:12 | 7 |

### ავსტრია
**მაქსბუნდესლიგა. X ტური**
ზალცბურგი — აუსტრია 1:0; მატერსბურგი — ტიროლი 0:0; რაპიდი — ადმირა 0:1; რიდი — შტურმი 2:1; გრაცერი — პაშინგი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 10 | 6 | 1 | 3 | 16:13 | 19 |
| პაშინგი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:6 | 17 |
| რაპიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:11 | 15 |
| გრაცერი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:10 | 15 |
| რიდი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:15 | 13 |
| შტურმი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:13 | 13 |
| ზალცბურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:13 | 13 |
| ტიროლი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:12 | 12 |
| მატერსბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | 12 |
| ადმირა | 10 | 1 | 2 | 7 | 10:20 | 5 |

### ბელგია
**იუპილერლიგა. VI ტური**

**მუსკრონი 1:2 გენტი**
0:1 გრეგორი (6), 0:2 მამუნი (26), 1:2 სანტოსი (28)

**ბრიუსელი 1:1 ანდერლეხტი**
0:1 კულეკი (70ს.კ.), 1:1 ხელსი (81პ)

**სერკლი 0:3 სტანდარდი**
0:1 ტჩიტე (6), 0:2 კონსეისაო (17), 0:3 ვალასიაკი (47)

**სენტ ტრუიდენი 1:2 ლოკერენი**
0:1 ბუშუარი (75), 1:1 სიმაესი (81), 1:2 ჯუკიჩი (90)
გაძევება: ვიშნიოვსკი (90, სენტ ტრუიდენი)

**ლიერსი 0:0 შალრერუა**
გაძევება: რეინა (61, შარლერუა)

**ბევერენი 0:1 ბრიუგე**
0:1 მატონდო (31)

**ბეერსხოტი 1:1 ლუვიე**
1:0 ვრე (10), 1:1 ულანი (24)

**გენკი 3:1 ვარეგემი**
1:0 ნიკულიჩი (31), 1:1 სერჟანტი (33), 2:1, 3:1 სტოიანოვიჩი (77, 85)
გაძევება: მატუკო (82, გენკი)

**რუზელარე 0:2 ვესტერლო**
0:1 იანსენი (10), 0:2 პულე (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:7 | 15 |
| ანდერლეხტი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:6 | 14 |
| ბრიუგე | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| ვესტერლო | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 13 |
| შარლერუა | 6 | 2 | 4 | 0 | 6:3 | 10 |
| ვარეგემი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 |
| გენტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ლოკერენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:6 | 10 |
| რუზელარე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:5 | 7 |
| გენკი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:8 | 7 |
| ბევერენი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:7 | 6 |
| ბრიუსელი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| სენტ ტრუიდენი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | 6 |
| ლიერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ბეერსხოტი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლუვიე | 6 | 0 | 4 | 2 | 4:11 | 4 |
| მუსკრონი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | 3 |
| სერკლი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:12 | 1 |

**მეორე დივიზიონი. IV ტური**
დაინცე — ანტვერპენი 3:2; გეელი — მეხელენი 1:2; ჰეუსდენი — ეუპენი 0:0; მონსი — ოუდ ჰევერლი 2:1; ოსტენდე — კორტრაიკი 2:2; სენტ ჟილი — ლომელი 1:3; ვირტონი — ვაასლანდი 2:0; რონსი — დესელი 0:2; ვიგორი — ტუბიცე 2:3

### პოლონეთი
**პირველი ლიგა. VII ტური**
პოგონი — ლეგია 2:2; კრაკოვია — ბელხატოვი 2:1; ლეხი — გურნიკი 3:2; ოდრა — ლეჩნა 0:0; ზაგლებე — კორონა 3:3; პლოცკი — ამიკა 0:1; გროცლინი — არკა 2:1; პოლონია — ვისლა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 14 |
| ლეხი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:12 | 14 |
| ამიკა | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| გურნიკი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:6 | 10 |
| ლეგია | 7 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 10 |
| გროცლინი | 7 | 2 | 4 | 1 | 11:10 | 10 |
| პლოცკი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| პოგონი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:12 | 9 |
| კრაკოვია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:6 | 9 |
| ზაგლებე | 7 | 1 | 4 | 2 | 12:13 | 7 |
| ოდრა | 7 | 1 | 4 | 2 | 4:8 | 7 |
| ლეჩნა | 7 | 0 | 6 | 1 | 4:6 | 6 |
| კორონა | 7 | 1 | 3 | 3 | 10:13 | 6 |
| ბელხატოვი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 |
| არკა | 7 | 0 | 5 | 2 | 5:7 | 5 |
| პოლონია | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | 5 |

### ფინეთი
**ვეიკაუსლიგა. XXIII ტური**
ლაჰტი — ჰიკ 1:2; როვანიემი — ტურკუ 0:0; ტპ 47 — ინტერი 1:1; ჰაკა — მარიეჰამნი 3:1; კტპ — იარო 2:0; კუოპიო — ალიანსი 1:2; ტამპერე — მიუპა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 22 | 15 | 5 | 2 | 41:14 | 50 |
| ჰიკ | 23 | 13 | 7 | 3 | 40:24 | 46 |
| ჰაკა | 23 | 10 | 11 | 2 | 39:17 | 41 |
| ტამპერე | 21 | 11 | 6 | 4 | 30:18 | 39 |
| ინტერი | 21 | 10 | 7 | 4 | 31:14 | 37 |
| ლაჰტი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:36 | 34 |
| ალიანსი | 23 | 7 | 10 | 6 | 29:36 | 31 |
| კტპ | 23 | 8 | 6 | 9 | 33:38 | 30 |
| ტურკუ | 24 | 8 | 5 | 11 | 27:32 | 29 |
| მარიეჰამნი | 23 | 6 | 5 | 12 | 25:34 | 23 |
| კუოპიო | 23 | 6 | 4 | 13 | 26:42 | 22 |
| იარო | 23 | 5 | 6 | 12 | 17:28 | 21 |
| როვანიემი | 24 | 3 | 8 | 13 | 18:45 | 17 |
| ტპ 47 | 23 | 4 | 4 | 15 | 19:33 | 16 |

### პორტუგალია
**სუპერლიგა. IV ტური**

**ნავალი 2:2 ბოავიშტა**
0:1 გუგა (4), 1:1 ფოგაკა (10), 1:2 ფარი (37), 2:2 გუერა (59)

**მარიტიმუ 2:2 პენაფიელი**
1:0 მანკუსო (39), 1:1 რობერტო (50), 2:1 იუსუფი (80), 2:2 რობერტო (81)

**პაკოშ ფერეირა 2:1 აკადემიკა**
1:0 ჟუნიორი (35), 1:1 მარსელი (43), 2:1 გერალდო (89)

**რიუ ავე 2:1 ამადორა**
0:1 მანუ (18), 1:1 გაუჩო (27), 2:1 მარკინოსი (71)

**სეტუბალი 1:0 ჟილ ვისენტე**
1:0 ოლივეირა (14)

**ბენფიკა 4:0 ლეირია**
1:0 ანდერსონი (3), 2:0, 3:0, 4:0 ნუნუ გომეში (45, 61, 85)

**ბრაგა 0:0 პორტუ**

**ბელენენსეში — გიმარაეში**
*დღეს გაიმართება*

**ნასიონალი — სპორტინგი**
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ბრაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 4:0 | 10 |
| სპორტინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| რიუ ავე | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 2 | 0 | 2 | 3:2 | 6 |
| ფერეირა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| ნავალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| ამადორა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მარიტიმუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| პენაფიელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ლეირია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| გიმარაეში | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

**მეორე დივიზიონი. IV ტური**
ავეში — ვიზელა 3:2; პორტიმონენსე — ბარეირენსე 2:0; შავეში — გონდომარი 1:1; მორეირენსე — ლეიშოეში 1:1; ვარზიმი — ეშტორილი 1:0; ოლიალენსე — მარკუ 2:1; ბეირა მარი — კოვილია 2:0; ოვაირენსე — მაია 4:4; სანტა კლარა — ფეირენსე 2:2

### ჩეხეთი
**გამბრინუსლიგა. VI ტური**
სლოვაცკო — სპარტა 2:0; ბლშანი — ბრნო 2:2; იჰლავა — მოსტი 1:0; იაბლონეცი — პრჟიბრამი 3:1; სიგმა — ბოლესლავი 2:3; სლავია — ზლინი 1:0; ბანიკი — ლიბერეცი 1:1. *ტეპლიცე — პლზენი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:4 | 16 |
| ტეპლიცე | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ბოლესლავი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:11 | 10 |
| პრჟიბრამი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| სპარტა | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| მოსტი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:7 | 9 |
| იაბლონეცი | 6 | 3 | 0 | 3 | 12:11 | 9 |
| სიგმა | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| სლავია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| პლზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| სლოვაცკო | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| იჰლავა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ბლშანი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | 7 |
| ზლინი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:10 | 6 |
| ბანიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| ბრნო | 6 | 0 | 3 | 3 | 6:9 | 3 |

### ნორვეგია
**ტიპელიგა. XXI ტური**
ოდ გრენლანდი — ვიკინგი 1:0; ჰამ კამი — ლინი 1:0; ვოლერენგა — ლილესტრიომი 0:0; ტრომსიო — ფრედრიკსტადი 2:0; ალესუნდი — ბოდიო გლიმტი 1:1; მოლდე — რუსენბორგი 4:1; ბრანი — სტარტი *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლერენგა | 22 | 14 | 5 | 3 | 38:19 | 47 |
| სტარტი | 20 | 12 | 5 | 3 | 37:22 | 41 |
| ვიკინგი | 21 | 11 | 4 | 6 | 32:26 | 37 |
| ლილესტრიომი | 22 | 11 | 4 | 7 | 31:25 | 37 |
| ლინი | 21 | 9 | 7 | 5 | 28:19 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 21 | 9 | 3 | 9 | 22:35 | 30 |
| ბრანი | 20 | 8 | 5 | 7 | 36:23 | 29 |
| ჰამ კამი | 21 | 7 | 4 | 10 | 24:29 | 25 |
| მოლდე | 21 | 7 | 3 | 11 | 32:40 | 24 |
| ფრედრიკსტადი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:36 | 23 |
| ტრომსიო | 21 | 4 | 9 | 8 | 22:27 | 21 |
| რუსენბორგი | 21 | 6 | 3 | 12 | 34:40 | 21 |
| ბოდიო გლიმტი | 21 | 5 | 5 | 11 | 25:33 | 20 |
| ალესუნდი | 21 | 3 | 8 | 10 | 19:33 | 17 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | არსენალი-ევერტონი | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 316 | კაენი-სედანი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| | | **პორტუგალია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 669 | ბელენენსეში-გიმარაეში | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 23:45 | 670 | ნასიონალი-სპორტინგი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 671 | ირაკლისი-პაოკ | 2.50 | 3.00 | 2.65 | 1.36 | 1.28 | 1.40 |
| | | **უკრაინა** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 673 | დნიპრო-მეტალურგი(დ) | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 672 | ტეპლიცე-პლზენი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 501 | ბრანი-სტარტი | 2.15 | 3.40 | 3.00 | 1.31 | 1.25 | 1.59 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 517 | გიოტებორგი-იურგორდენი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 21:00 | 518 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 21:00 | 519 | ჰამარბი-სუნდსვალი | 1.50 | 3.80 | 5.80 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 21:00 | 520 | ლანდსკრონა-ჰეკენი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 631 | ბარნლი-ბარნსლი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:45 | 632 | კარდიფი-მაკლსფილდი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 22:45 | 633 | როტერჰემი-ლიდსი | 3.10 | 3.40 | 2.00 | 1.62 | 1.21 | 1.25 |
| 22:45 | 634 | სკანთორპი-ბირმინგემი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 22:45 | 635 | ქვინსი-ვესტ ჰემი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 22:45 | 636 | შრუსბერი-შეფილდი | 4.60 | 3.60 | 1.60 | 2.01 | 1.18 | 1.10 |
| 22:45 | 637 | სანდერლენდი-ჩელტენემი | 1.25 | 5.20 | 8.00 | 1.00 | 1,08 | 3.15 |
| 22:45 | 638 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 22:45 | 639 | ვესტ ბრომვიჩი-ბრედფორდი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 22:45 | 640 | უიგანი-ბორნმუთი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 22:45 | 641 | უიკომბი-ასტონ ვილა | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 22:45 | 642 | იოვილი-მილუოლი | 2.55 | 3.40 | 2.30 | 1.45 | 1.20 | 1.37 |
| 22:45 | 643 | ბარნეტი-პლიმუთი | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| 22:45 | 644 | ჯილინგემი-პორტსმუთი | 3.60 | 3.50 | 1.80 | 1.77 | 1.20 | 1.18 |
| 22:45 | 645 | გრიმსბი-ტოტენჰემი | 7.50 | 4.20 | 1.35 | 2.69 | 1.14 | 1.02 |
| 22:45 | 646 | მენსფილდი-საუთჰემპტონი | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 23:00 | 647 | რედინგი-ლუტონი | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 23:00 | 648 | ბლექბერნი-ჰადერსფილდი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 23:00 | 649 | ჩარლტონი-ჰარტლპული | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 23:00 | 650 | კრისტალ პალასი-ქოვენტრი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 22:45 | 653 | ლესტერი-ბლეკპული | 1.40 | 4.40 | 5.50 | 1.06 | 1.11 | 2.44 |
| 22:45 | 675 | ნორვიჩი-ნორთჰემპტონი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 651 | დონკასტერი-სიტი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 22:45 | 652 | ფულემი-ლინკოლნი | 1.25 | 5.00 | 8.30 | 1.00 | 1.08 | 3.12 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 654 | სელტიკი-ფოლკირკი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 22:30 | 655 | რეინჯერსი-კლაიდი | 1.05 | 8.00 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 5.44 |
| 22:30 | 656 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.05 | 3.30 | 2.90 | 1.26 | 1.20 | 1.54 |
| 22:30 | 657 | სტრანრარი-აბერდინი | 5.50 | 4.30 | 1.40 | 2.41 | 1.11 | 1.05 |
| 22:30 | 658 | ეარი-ჰიბერნიანი | 7.00 | 4.80 | 1.30 | 2.84 | 1.09 | 1.02 |
| 22:30 | 659 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:30 | 660 | ლივინგსტონი-პართსი | 6.70 | 4.60 | 1.30 | 2.72 | 1.08 | 1.01 |
| 22:30 | 661 | სტ.მირენი-მოზერუელი | 3.00 | 3.50 | 1.95 | 1.61 | 1.18 | 1.25 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | არსენალი-ევერტონი | 1.55 | 2.40 | 5.00 | 1.00 | 1.18 | 1.62 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | არსენალი-ევერტონი | 1.75 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | არსენალი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | არსენალი-ევერტონი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | არსენალი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაგეთვლებათ წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | არსენალი-ევერტონი | 1.15 | 2.50 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | არსენალი-ევერტონი | 1.10 | 4.50 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | არსენალი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XII ეტაპი



AFP ფოტო

იაპონიის დიდი პრიზის გათამაშება კინაღამ ტრაგედიით დასრულდა

# იტალიური ტრილერი იაპონიაში

## დოქტორ როსის გაშვიდება გადაიდო

**ყველა** ელოდა, რომ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი მორიგ ტიტულს გუშინ იაპონიაში, თავისი „იამაჰას" მშობლიურ ტრეკზე გაინაღდებდა. 26 წლის იტალიელი „დოქტორი" წარმოუდგენელი, 132-ქულიანი სხვაობით უსწრებდა უახლოეს კონკურენტს, თანამემამულე მაქს ბიაჯის და „მოტეგიზე" მეოთხე ადგილიც ეყოფოდა ვადამდე ხუთი ეტაპით ადრე მეშვიდედ გასაჩემპიონებლად. და მაინც დიდოსტატის მორიგი მოგვირგვინება სულ მცირე, ერთი კვირით, მალაიზიურ დიდ პრიზამდე გადაიდო. მიზეზი როსის წლეულს პირველი უქულობა გახდა.

„დოქტორი" ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას ჩაფლავდა, როცა მხოლოდ მე-11 დრო აჩვენა. ბუნებრივია, რბოლის მეოთხე რიგიდან დაწყებით გვარიანი პრობლემები გაუჩნდა და თავიდანვე აგრესიულად შეუდგა ვითარების გამოსწორებას. უკვე მეორე წრეზე ვალენტინომ მეხუთე პოზიციამდე აინაცვლა, კიდევ ორი წრის მერე კი მეოთხე გახდა.

სასტარტო ციებ-ცხელების შემდეგ ქარავანი დამშვიდდა და ლამის შუა დისტანციამდე დაწინაურებულთა ჯგუფში ცვლილება არ მომხდარა. ლიდერობდა იტალიური კვარტეტი — ბიაჯი, კაპიროსი, მელანდრი, როსი. ამ უკანასკნელმა მელანდრის გასწრების ცდისას ვერ მოზომა და მის „ჰონდას" თავისი „იამაჰა" უკნიდან ისეთი ძალით მიახეთქა, რომ ორივესთვის რბოლა მოხრეშილ ზონაში დასრულდა. როსი წამოხტა და მელანდრისთან მოსაბოდიშებელ-მისახმარებლად მივიდა, მარკომ კი წამოდგომა ვერ შეძლო მარჯვენა ფეხის დაშავების გამო და ტრასიდან საკაცით გაიტანეს.

იაპონური დიდი პრიზი კი „ჰეთ თრიქით", რაც უმძიმესი შესასრულებელია, 32 წლის ლორის კაპიროსიმ მოიპოვა. ეს მის 117-ეტაპიან კარიერაში მეოთხე გამარჯვებაა. „ჰეთ თრიქი" კი ნიშნავს ეტაპისა და კვალიფიკაციის მოგებას და სარბოლო უსწრაფეს წრეს.

250-იან კლასში მშობლიურ ტრეკზე სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ჰიროსი აოიამამ. ეს 23 წლის იაპონელის 34-ე რბოლაში პირველი მოგებაა. მეორე ადგილისთვის უმწვავესი ბრძოლა გააჩაღეს ჩემპიონატის ლიდერმა, ესპანელმა დანიელ პედროსამ და სანმარინოელმა ალექს დე ანჯელისმა. კონკურენტებმა რამდენჯერმე გაასწრეს ერთმანეთს, ბოლო სიტყვა კი შარშანდელ ჩემპიონ დანიელის იყო. მაგრამ ბოლოს მან მესამე ადგილიც დაკარგა ესპანელ ხორხე ლორენცოსთან შეტაკების შედეგად.

საშინელი ავარია მოხდა 125 კუბურ-სანტიმეტრიანი მოტოების ჯირითისას. ფინიშამდე ხუთი წრით ადრე მეორე პოზიციაზე მავალმა შვეიცარიელმა ტომას ლუტიმ მოსახვევში წონასწორობა დაკარგა და „ჰონდადან" გადმოვარდა. საუბედუროდ, მხედარ-ბედაური ტრასაზე დარჩა, უკან მავალმა სერხიო გადეამ გვერდის ავლა ვერ მოახერხა, მისი „აპრილია" ჯერ ლიუტის ფეხს წამოედო, მერე კი უზარმაზარი სიჩქარით შეასკდა ასფალტზე დაგდებულ „ჰონდას" და თავადაც ამოყირავებულმა საკმაოდ იფრინა.

სასწაულია, მაგრამ სერხიო უვნებლად გადარჩა, ხოლო ლუტის საკაცე დასჭირდა.

ეტაპის დირექტორატმა წითელი დროშები გამოფინა, რბოლა აღარ გაგრძელებულა და საბოლოოდ ინციდენტამდელი შედეგები დაფიქსირდა.

**გია ახალაძე**

### იაპონიის დიდი პრიზი. *მოტეგი — 4801 მ*

**მოტო გრან პრი — 115,2 კმ**

1 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი) — 43 წთ; 30,5
2 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) — ჩამორჩა 1,5
3 მაკოტო ტამადა (იაპონია, კონიკა მინოლტა ჰონდა) — 16,2

**საერთო ჩათვლა**

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) 261 ქულა; 2 ბიაჯი 149; 3 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 133; 4 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 126; 5 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 121; 6 კაპიროსი 117

**250 სმ³ — 110,4 კმ**

1 ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) — 43 წთ; 52,4
2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — ჩამორჩა 5,3
3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) — 7,8

**საერთო ჩათვლა**

1 პედროსა 226 ქულა; 2 სტოუნერი 163; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 144; 4 აოიამა 123; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია იტალია) 109

**125 სმ³ — 72,0 კმ**

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 30 წთ; 10,8
2 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) — ჩამორჩა 0,1
3 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, მასტერ აპრილია) — 1,5

**საერთო ჩათვლა**

1 ლუტი 164; 2 კალიო 161; 3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 120; 4 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 117; 5 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 111



## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

იტალია. სენტ-ვინსენტი. 18 - 24 სექტემბერი

# ქართველები სენტ-ვინსენტში თბილისებით ჩავიდნენ

**ევროპის** 21-ე საკლუბო ჩემპიონატს, რომელშიც 45 ვაჟთა და 10 ქალთა გუნდი გამოდის, მთიანი სენტ-ვინსენტი მასპინძლობს.

ვაჟთა შეჯიბრში ფავორიტია რუსული „NAO CHESS CLUB", რომლის მთლიანი რეიტინგია 2705. ამ გუნდში პირველ დაფაზე კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი თამაშობს, მეორეზე ფრანგი ეტიენ ბაკრო, ორივე დიდოსტატი კი ფიდეს რეიტინგის ათეულში ირიცხება და გუნდისთვის დიდი ძალაა.

ქართველთა გუნდის „I&A TBILISI" რეიტინგი 2580-ია და ფავორიტებს შორის მერვეა, შემადგენლობა კი ასეთია: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზვიად იზორია, ლევან ფანცულაია, გიორგი გიორგაძე, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ხვიჩა სუპატაშვილი.

ვაჟთა ჩემპიონატზე კიდევ ერთი ქართველი, მიხეილ კეკელიძეც გამოდის, თუმც იგი სერბიულ „MARMARIS MUNIC"-ის ღირსებას იცავს და გუნდში მეორე დაფაზე ითამაშებს.

ქალთა ჩემპიონატზე სულ 10 გუნდი გამოდის და ქართული „NTN TBILISI" ფავორიტებს შორის მეშვიდეა. საქართველოს ღირსებას დაიცავენ: ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე და თამარ წერეთელი.

ერთი მამლუქი ქალთა შეჯიბრშიც გვეყოლება. ნინო ხურციძე სომხურ „MIKA"-ში ითამაშებს და მეორე დაფაზე გამოვა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# კარპოვმა არგენტინაში ნაიდორფი გაიხსენა





კარპოვმა ძველი მეგობარი გაიხსენა

**ბუენოს-აირესში** ცნობილი არგენტინელი დიდოსტატის მიგელ ნაიდორფის სახელობის XVI საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი დაიწყო. ტურნირზე პლანეტის მე-12 ჩემპიონი რუსი ანატოლი კარპოვიც გამოდის და სახელოვან დიდოსტატთან გატარებულ დროს იხსენებს.

„ნაიდორფი 1971 წელს ინგლისში საახალწლო ტურნირზე გავიცანი. ჩვენ მაშინვე დავახლოვდით და მთელი ცხოვრება ვმეგობრობდით. — განაცხადა კარპოვმა — 2001 წელს ნაიდორფის ტურნირი მოვიგე და არგენტინაში გამარჯვებით პირველად გავიხარე. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ნაკლებად მიმართლებდა".

ტურნირის გახსნის ცერემონიალს არგენტინის სპორტის მინისტრი კლაუდიო მორესი და რუსეთის ელჩი იური კორჩაგინი დაესწრნენ. მათ თბილი სიტყვებით გაიხსენეს დიდოსტატი და ტურნირის მონაწილეებს წარმატება უსურვეს.

ნაიდორფი 1910 წლის 15 აპრილს ვარშავაში დაიბადა და საჭადრაკო ოლიმპიადებზე პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში სამჯერ დაეუფლა საპრიზო ადგილებს. 1939 წელს ბუენოს-აირესში ოლიმპიადაზე ნაიდორფი მეორე ადგილზე გავიდა, თუმც სიხარული ვერ მოასწრო, რადგანაც გერმანიამ მის სამშობლოს ომი გამოუცხადა. პოლონეთში დაბრუნება წარმოშობით ებრაელ ნაიდორფს სერიოზულ უსიამოვნებებს უქადდა და ამიტომაც მან მეორე სამშობლოდ არგენტინა აირჩია.

ნაიდორფის სიკვდილის შემდეგ არგენტინაში მისი სახელობის ფონდი შეიქმნა, რომელიც ბავშვებში ჭადრაკის განვითარებას ემსახურება.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ევროპის ჩემპიონატი 2005

# რუსული გასროლა

## სლოვენია ვენებს არ იჭრის



ბულგარეთი — თურქეთი. მირსად თურქჯანი ბულგარელებს გადაახტა

17 სექტემბერი

**A ჯგუფი**

**უკრაინა 58:84 გერმანია**

**19:28 13:19 13:20 13:17**

**უკრაინა:** მედვედენკო (15), ლიშჩუკი (13)
**გერმანია:** ნოვიცკი (27), ფემერლინგი (10)

**იტალია 61:87 რუსეთი**

**11:31 9:21 21:18 20:17**

**იტალია:** გალანდა (13), პოცეკო (12)
**რუსეთი:** კირილენკო (16 ქულა, 10 მოხსნა), ხრიაპა (15), ჰოლდენი (15)

**რუსებს** ასე სატრაბახოდ ალბათ კარგა ხანია, აღარ ჰქონიათ საქმე. საბჭოეთის დროს ბობოქარმა და კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ვერაფრის მომგებმა რუსეთმა შაბათს საამაყო გამარჯვება იზეიმა ევროგრანდ იტალიაზე და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა.

ის კი არა, რუსებს ჯგუფში პირველობის ყველაზე უკეთესი შანსი აქვთ, რაკი იტალიელთა განადგურებით ბურთების შეფარდება გაიუმჯობესეს და გერმანელებთან დასკვნით მატჩში მცირე სხვაობით დამარცხებაც აძლევთ ხელს.

ახლა კი საკუთრივ მატჩზე, რომელსაც სხვანაირად რუსული კალათბურთის ზეიმი შეგვიძლია ვუწოდოთ. წინა ევროპირველობის ბრინჯაოსანი იტალია თუ ასე უსუსურად წააგებდა, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა.

„ეს მარცხი ცოტა არ იყოს, სამარცხვინოა. ჩემი გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ დალაგებულად მოთამაშე მეტოქესთან ვერაფერი გააწყო" — თქვა ნამატჩევს აპენელთა თავკაცმა კარლო რეკალკატიმ.

რუსები მართლაც რომ დალაგებულად თამაშობდნენ. ისინი ყველა საკალათბურთო ასპექტში მაღლა იდგნენ იტალიელებზე — პასი გინდა, მოხსნა, ჩაჭრა, დაცვა თუ ტყორცნა.

ანდრეი კირილენკო რომ მსოფლიოს დონის ვარსკვლავია, ყველამ კარგად იცის და იტალიელებიც თავიდან საიმედოდ მეურვეობდნენ „ჯაზმენს", მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ანდრიუშა არ ყოფილა რუსეთის ნაკრები. ნატურალიზებული ამერიკელი ჯეიარ ჰოლდენი ჩინებულად ართმევდა ბურთის გათამაშებას თავს და არც მექულეობაში ჩამორჩა ვინმეს. ასევე იყო ვიქტორ ხრიაპა და რუსებმა იტალიელებს პირველივე ტაიმში გამოუტანეს განაჩენი, როცა რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 16:0 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 32-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

თითქმის იგივე სცენარით წარიმართა A ჯგუფის მეორე შეხვედრაც, რომელშიც უკვე სლავური გუნდი დაიჩაგრა, ოღონდ გერმანელებთან. უკრაინა რომ ჩემპიონატის ყველაზე სუსტი რგოლია, არც იყო საკამათო, ისევე როგორც გერმანელთა ამ მატჩში გამარჯვება.

ისიც სათქმელია, რომ გერმანია ერთი კაცის გუნდია — დირკ ნოვიცკის იმედზეა და ამ ქერათმიან დალასელსაც ჯერჯერობით არ ჩაუმუხლავს. იტალიელთა მსგავსად, ნოვიცკიმ უკრაინელებსაც 27 ქულა ჩაუგდო და მის თანაგუნდელთაგან ათქულიან ზღვარს მხოლოდ პატრიკ ფემერლინგმა უწია. დანარჩენები ნოვიცკის ეხმარებოდნენ.

უკრაინას ახლა გადასასვლელ მატჩში გაძრომის ერთადერთი გზა დარჩა — იტალია უნდა დაამარცხოს, მაგრამ უფრო ეს უკანასკნელი იმარჯვებს და სლავები პლეი ოფის შანსს ბოლო ტურშივე გამოეთხოვებიან. აქვე გეტყვით, რომ ჯგუფიდან პირველადგილოსანი პირდაპირ მეოთხედფინალში გადის, მეორე-მესამეები კი იქ მოსახვედრად თითო გადასასვლელ მატჩს გამართავენ.

**B ჯგუფი**

**ბულგარეთი 89:94 თურქეთი**

**ძირითადი დრო 79:79**

**23:19 24:21 20:17 12:22 10:15**

**ბულგარეთი:** ვიდენოვი (23), სტოიკოვი (22), მლადენოვი (15 ქულა, 11 მოხსნა)
**თურქეთი:** თურქჯანი (19), თურქოღლუ (17), ერდოგანი (16)

**ლიტვა 85:67 ხორვატია**

**15:23 19:11 23:18 28:15**

**ლიტვა:** შიშკაუსკასი (18), იანკუნასი (16)
**ხორვატია:** გირიჩეკი (19), პლანინიჩი (14)

**სულ რაღაც** ოთხი წლის წინ ბულგარეთი საკვალიფიკაციო ეტაპზე ფაფხურობდა და ერთხელ საქართველოშიც ჩამოვიდა — 16 ქულა წააგო. თუმც შინ მსაჯების დახმარებით 19 ქულით იმარჯვა და ქართველები ჯგუფში ჩატოვა, ახლა კი, შეხედეთ, სადაა ბულგარეთი და სად საქართველო. სლავებმა შაბათს ევროჩემპიონატზე თურქეთთან კი წააგეს, მაგრამ მათზე აუგს ვერავინ იტყვის — ბოლო წუთამდე ინარჩუნებდნენ ლიდერობას და საბოლოოდ ოვერტაიმში გატყდნენ.

ბულგარეთმა ძალიან დასანანად წააგო, რადგან ძირითადი დროის დასრულებამდეც იგებდა და ოვერტაიმი სულაც ორი ზუსტი სამქულიანით დაიწყო. რა ტოდორ სტოიკოვი, რის ფილიპ ვიდენოვი — ეს გვარები არაფრისმთქმელია ევროელიტისთვის, მაგრამ ამ ბიჭებმა შაბათს თურქობა რომ ანერვიულეს, მტერს და ავს. ამათი დახმარებით ბულგარელებმა პირველი ტაიმიც მოიგეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ ათი ქულითაც დაწინაურდნენ.

ბოლო მეოთხედის მესამე წუთისთვის სლავები 12 ქულითაც გაექცნენ მეტოქეს, მაგრამ გამოცდილებამ დაალალატა. ყოველ შემთხვევაში, ბულგარელთა წაგების ერთადერთ მიზეზად ორივე გუნდის მწვრთნელმა ეს დაასახელა.

„წაგების მთავარი მიზეზი მეტოქის გამოცდილება იყო — თქვა დამარცხებულთა მწვრთნელმა როსენ ბარშოვსკიმ — თურქეთი მსოფლიო კლასის გუნდია და იცის, როგორ ითამაშოს მაშინ, როცა აგებს".

ბოგდან ტანიევიჩი, თურქეთის თავკაცი: „ჩვენ ამ საღამოს ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. პროფესიონალებში გამოცდილებას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, თუმც ბულგარეთმა სწორედ ამ მიზეზით წააგო".

იბრაჰიმ ქუთლუაიმ მხოლოდ სამი სამქულიანი ჩააგდო და ყველა მეოთხე ათწუთეულში, ანუ როცა თურქეთმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო და გვარიანი ჩამორჩენა გააბათილა. ნბა-ში გამობრძმედილმა ჰიდაიეთ თურქოღლუმ სირენამდე 33 წამით ადრე გამთანაბრებელი სამიანი ჩააგდო და თამაში ოვერტაიმში გადავიდა. იქ კი უკვე გითხარით, ბულგარელებმა ტოდორ სტოიკოვის სამქულიანებით მოპოვებული ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს და...

ჯგუფის მეორე მატჩში მოქმედმა ჩემპიონმა ლიტვამ მეორე გამარჯვება მოიხვეჭა, თუმც ხორვატთა შეუპოვრობაც სახსენებელია. ექსიუგოსლაველები კარგა ხანს ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლო მეოთხედამდე ძალები ლიტველებს გაჰყვათ და იმარჯვეს კიდეც.

**C ჯგუფი**

**ბოსნია 62:79 საფრანგეთი**

**22:16 14:15 11:22 15:26**

**ბოსნია:** მრშიჩი (24 ქულა, 8 მოხსნა), დომერჩანტი (13)
**საფრანგეთი:** დიავი (23 ქულა, 7 პასი), მ. პიეტრუსი (22)

**საბერძნეთი 56:68 სლოვენია**

**14:20 13:17 12:17 17:14**

**საბერძნეთი:** პაპადოპულოსი (15)
**სლოვენია:** ბეჩიროვიჩი (18)

**სლოვენია** კია მიყუჩებული და მასზე არავინ გაჰყვირის, არიქა, საჩემპიონო გუნდიაო, მაგრამ ბევრის მიღწევა რომ შეუძლია, საკამათო არაა. სლოვენიელები არასდროს უჩიოდნენ კარგი მოთამაშეების არყოფნას, მაგრამ დღეს ეს ბიჭები საკმაოდ გამოცდილნი არიან და ნებისმიერი მეტოქის გაბითურება ხელეწიფებათ.

ნბა-ში დაფასებულ ცენტრებთან — რაშო ნესტეროვიჩი და პრიმოჟ ბრეჟეცი — ერთად სლოვენიელებს უძლიერესი უკანა ხაზი ჰყავთ რაკა ლაკოვიჩის, ბოსტიან ნახბარისა და სანი ბეჩიროვიჩის სახით. ეს უკანასკნელი სულაც ახალ გენიად ითვლებოდა, მაგრამ ისეთი ტრავმა მიიღო, წლების განმავლობაში გატანჯა, ახლა კი, როგორც ჩანს, სანიმ ბოლომდე მოიშუშა იარები და სლოვენიასაც მეტი რა უნდა.

ბეჩიროვიჩმა ბერძნებს შორიდანაც უყარა ბურთები და არც ახლოდან დააკლო ხელი. ელინთა მთავარ ბურჯ ლაზაროს პაპადოპულოსს კი ფარქვეშ ხან ბრეჟეცი იჭერდა, ხანაც ერაზმ ლორბეკი.

მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა, მანამდე კი სლოვენია ლიდერობდა გვარიანად და ბერძნებმა რისვაი-ვაგლახით მოახერხეს თამაშის გათანაბრება.

„სლოვენიას ძალიან კარგი მოთამაშეები ჰყავს როგორც წინა, ისე უკანა ხაზში — თქვა ბერძენმა დიმიტრიოს დიამანტიდისმა — ჩვენ ძალიან ვნერვიულობდით და ბოლომდე მობილიზება ვერ მოვახერხეთ. დასანანი მარცხი განვიცადეთ, მაგრამ ახლა ამაზე სულაც არ ვფიქრობთ. ბოლო მატჩში ბოსნია უნდა დავამარცხოთ და პლეი ოფში მოვხვდეთ".

ბოსნიის დამარცხება არ უნდა გახდეს ბერძნებისთვის საწვალებელი. ამ გუნდმა შაბათს საფრანგეთთან უიმედოდ წააგო და ალბათ ვერც საბერძნეთთან გამოიჩენს თავს.

**D ჯგუფი**

**სერბეთი 93:77 ისრაელი**

**25:21 22:17 20:27 26:12**

**სერბეთი:** იარიჩი (19), რაკოჩევიჩი (15)
**ისრაელი:** ბურშტეინი (20), გრინი (11)

**ესპანეთი 114:109 ლატვია**

**ძირითადი დრო 98:98**

**30:16 19:30 25:20 24:32 16:11**

**ესპანეთი:** ნავარო (35), რეიესი (18 ქულა, 14 მოხსნა)
**ლატვია:** ს. ვალტერსი (28), იანიჩენოკი (25)

**ამ ჩემპიონატს** ოვერტაიმები დაებედა. ესპანეთ-ლატვიაშიც დამატებითი დრო დაინიშნა, რაც უკვე მესამე შემთხვევაა ორ ტურში.

ეს იყო ძალიან სანახაობრივი და უხვქულიანი მატჩი, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთმა ძალიან ბევრი ჯარიმით იხეირა. კარლოს ნავაროს და ხორხე გარბახოსას ჯამში 38-ჯერ მიუწიათ საჯარიმო ხაზზე დადგომა და მხოლოდ ორჯერ უმტყუნათ მიზანმა.

ლატვია კი ძირითადად სამქულიანებს ეძალებოდა და პერიმეტრსმიღმიდან 18-ჯერ იხეირა. სწორედ ეს იყო მიზეზი, აუტსაიდერი ლატვია ბოლომდე რომ ეომა ესპანეთს და მხოლოდ ოვერტაიმში დამარცხდა.

„ლატვიამ ძალიან კარგად ტყორცნა სამქულიანები, ჩვენ გვიჭირდა მათი შეჩერება. შეგვეძლო, პირველივე მეოთხედის შემდეგ მოგვეთავებინა საქმე, მაგრამ მოვდუნდით და ლატვიელებს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მივეცით" — თქვა ესპანელთა დამრიგებელმა მარიო პესკუერომ.

ესპანელებთან სადებიუტო მარცხის შემდეგ ისრაელთან იმარჯვა მასპინძელმა სერბეთმა. ბალკანელებს მარკო იარიჩი შეეწია, რომელმაც 19 ქულა მოიპოვა.

„ჩვენ ახლა ბევრად მობილიზებულნი ვიყავით, ვიდრე ესპანეთთან წაგებულ მატჩში — თქვა იარიჩმა — კარგია, რომ თამაშს ვაუმჯობესებთ, წინ ხომ დიდი ბრძოლები გველის".

**ირაკლი პერტაია**



უკრაინა — გერმანია. გერმანელთა სუპერფორვარდმა დირკ ნოვიცკიმ (ბურთით) სერგეი ლისჩუკსაც აჯობა და დანარჩენ უკრაინელებსაც

## ევროპის ჩემპიონატი 2005

18 სექტემბერი

**A ჯგუფი**

**იტალია 99:62 უკრაინა**
**29:18 17:23 22:10 31:11**

იტალია: კალაბრია (20), რიგეტი (19), ბულერი (14)
უკრაინა: ლიშჩუკი (13), კრივიხი (10)

**რუსეთი 50:51 გერმანია**
**10:8 16:8 12:8 12:17**

რუსეთი: ჰოლდენი (13)
გერმანია: ნოვიცკი (24)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 2 | 1 | 23:186 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 217:192 | 5 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 244:231 | 5 |
| უკრაინა | 3 | 0 | 3 | 194:269 | 3 |

**B ჯგუფი**

**ლიტვა 92:79 ბულგარეთი**
**30:19 19:23 20:12 23:25**

ლიტვა: იასაიტისი (17), იავტოკასი (15), ლავრინოვიჩი (14)
ბულგარეთი: ვიდენოვი (34), ანგელოვი (10)

**ხორვატია 80:67 თურქეთი**
**17:23 21:18 29:5 13:21**

ხორვატია: ვუიჩიჩი (20)
თურქეთი: ფექერი (23)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 3 | 0 | 264:221 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 235:265 | 5 |
| თურქეთი | 3 | 1 | 2 | 236:256 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 252:274 | 3 |

**C ჯგუფი**

**სლოვენია 68:58 საფრანგეთი**
**12:15 18:17 23:12 15:14**

სლოვენია: ლაკოვიჩი (15), ნესტეროვიჩი (12 ქულა, 10 მოხსნა)
საფრანგეთი: დიავი (16)

**საბერძნეთი 67:50 ბოსნია**
**15:16 18:13 10:12 24:9**

საბერძნეთი: ფოტსისი (15)
ბოსნია: ჰუკიჩი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 3 | 3 | 0 | 210:179 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 187:168 | 5 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 120:118 | 4 |
| ბოსნია | 3 | 0 | 3 | 177:220 | 3 |

**D ჯგუფი**

**ესპანეთი 77:85 ისრაელი**
**16:17 12:16 31:32 18:20**

ესპანეთი: გარბახოსა (21), რეიესი (20)
ისრაელი: ბურშტეინი (19), შელეფი (15)

**ლატვია 67:82 სერბეთი**
**19:31 12:16 19:20 17:15**

ლატვია: ვალტერსი (12)
სერბეთი: რაკოჩევიჩი (19)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 280:264 | 5 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 236:235 | 5 |
| სერბეთი | 3 | 2 | 1 | 245:233 | 5 |
| ლატვია | 3 | 0 | 3 | 241:270 | 3 |

**ხვალ ერთმანეთს შეხვდებიან:**

**გერმანია — თურქეთი**
**ხორვატია — იტალია**
**საბერძნეთი — ისრაელი**
**სერბეთი — საფრანგეთი**



ბურთისთვის იბრძვიან სერბი ვლადიმირ რადმანოვიჩი და ლატვიელი ივარს ტიმერმანი.



# პირველი ქართველი

## ბორჯომი უკან დარჩა, ახლა ქართუს დროა


მაკა ჩახნაშვილი


მანანა შაფაქიძე

**ბორჯომის თასი. თიხნარი. საპრიზო 10 000 $**

### ნახევარფინალი

**მაკა ჩახნაშვილი** (1, საქართველო) — ირინა კოტკინა (3, რუსეთი) 6:4 6:2;
**მანანა შაფაქიძე** (საქართველო) — პაოლა სპროვიერი (გერმანია) 6:4 6:7 (5:7) 6:4

### ფინალი

**ჩახნაშვილი** — შაფაქიძე 6:2 6:1

**გუშინ** ქართული ჩოგბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. საქართველოში ქალთა საერთაშორისო ტურნირები მეცხრე წელიწადია, რაც ტარდება და აქამდე არასოდეს ყოფილა, ჩემპიონი ქართველი გამხდარიყოს. წლევანდელ „ბორჯომის თასზე“ ეს უსიამოვნო ტრადიცია რომ დაირღვეოდა, ფინალის წინა დღესვე გადაწყდა. ნახევარფინალში გასულმა ორივე ჩვენებურმა მაკა ჩახნაშვილმა და მანანა შაფაქიძემ იმარჯვა და ნანატრი ქართული ფინალიც მივიღეთ.

გადამწყვეტ ბრძოლაში ტურნირის პირველ ნომრად განთესილმა ჩახნაშვილმა შვიდი წლით უმცროს შაფაქიძეს ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო. ფინალი ლოგიკური შედეგით დასრულდა, თუმც მაკას ასეთ იოლ გამარჯვებას ცოტა თუ ელოდა. გულშემატკივართაგან ტურნირის აღმოჩენად მიჩნეულმა 16 წლის გოგონამ წინა დღეებში მესხის აკადემიის ცენტრალურ კორტზე ისეთი ამბები დაატრიალა, ნაწერით გადმოცემა ძნელია.

მეოთხედფინალში ტურნირის მეორე ნომრის უკრაინელი ოქსანა ტეპლიაკოვას ძლევის შემდეგ შაფაქიძეს ნახევარფინალში გერმანელ პაოლა სპროვიერისთან სამსაათნახევრიანი უშელავათო ბრძოლა დასჭირდა. ამხელა დატვირთვას ხშირად გამოცდილი ჩოგბურთელებიც ვერ უძლებენ, მანანა კი რამდენიმე საათში ისევ კორტზე გავიდა და უკვე მეორე ტურნირის „ქართუს თასის“ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრის შეხვედრა ჩვეულად დაასრულა — 6:3 6:0.

ფინალში მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ მანანას გადაღლაც იყო, თუმც არ გვინდა ამით ჩახნაშვილის გარჯა გავაფერმკრთალოთ. უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი ქალი მართლაც კარგ ფორმაშია და ტურნირიდან ტურნირამდე რეიტინგში სულ მაღლა მიიწევს. ერთ-ერთი გათამაშების შემდეგ შაფაქიძემ ალალადაც გადაულაპარაკა ტრიბუნებს, რა ვქნა, ხომ ხედავთ, ჩემზე ძლიერიაო.

„ბორჯომის თასის“ დასრულებიდან რამდენიმე საათში მანანა „ქართუს თასის“ საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრის სათამაშოდაც გავიდა ცენტრალურზე. მეტოქეც თავისზე ბევრად გამოცდილი ჰყავდა. რუს ოლგა პანოვას ხომ 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოსახვედრად სულ ცოტა დააკლდა. ქართველმა კიდევ სამი საათი იქნია ჩოგანი. ამასობაში დაღამდა და არასაკმარისი განათების გამო შეხვედრის მესამე სეტი სადღეისოდ გადაიდო. პირველში მანანამ 6:4 მოიგო. მეორეში რვაჯერ (!) თამაშის მოგებამდე ერთი დარტყმაღა აკლდა, მაგრამ ბოლოს ტაი ბრეიკში დამარცხდა.

ამ წყვილში გამარჯვებული დღესვე საკვალიფიკაციო ბოლო თამაშში სოფიკო შაფათავას დაუპირისპირდება. ამ დროისთვის შაფათავა ერთადერთი ქართველია ძირითად ბადეში შესასვლელ ბრძოლას რომ შემორჩა. არადა, საკვალიფიკაციო სულ თორმეტმა ჩვენებურმა დაიწყო.

შესარჩევი ეტაპის რვა საუკეთესო დღეს საღამოს გაირკვევა და ძირითადი ბადეც შეივსება. ბადის კენჭისყრა ამათ გარეშე ჩატარდა და ვინაიდან რვა ადგილი ჯერაც თავისუფალია ამიტომ ზოგი ჩოგბურთელი, მეტოქის ვინაობას დღესღა შეიტყობს. ასეთთა შორისაა ჩახნაშვილიც, რომელმაც „ბორჯომის თასი“ საერთაშორისო რეიტინგში 318-ე ნომრით დაიწყო, ახლა კი უკვე 275-ეა. იგი „ქართუს თასზე“ მეექვსე ნომრადაა განთესილი.

ცნობისთვის, პირველი ნომერი მსოფლიოს რეიტინგში 232-ე საფეხურზე მდგომი რუსი ტატიანა უვაროვაა.

ძირითადში ნანა უროტაძე და სოფო ქვაცაბაიაც მოხვდნენ. მათ ორგანიზატორთაგან „უაილდ ქარდები“ მიიღეს და უკვე სახვალიო მეტოქეთა ვინაობაც იციან. უროტაძე რუს ირინა კოტკინას შეხვდება, ხოლო ქვაცაბაია — ასევე რუს ირინა ბულიკინას.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# და მაინც რობერტო ერასი

**ესპანეთში** ვუელტას რბოლის მონაწილეებს შაბათს, დასკვნითი ეტაპის წინ ამოსუნთქვის საშუალება მისცეს და მხოლოდ 38,9-კილომეტრიან მონაკვეთზე შეაჯიბრეს ერთმანეთს. რბოლა გვადალახარადან ალკა დე ენარესამდე ჩატარდა და მასპინძლებმა აქ კვლავ მთლიანად დაიბრუნეს საპატიო კვარცხლბეკი, რომლის უმაღლეს საფეხურზეც რუბენ პლასა ავიდა — 41:31. მომდევნო ადგილებზეც კვარცხლბეკს გაშინაურებული რობერტო ერასი და კარლოს სასტრი გავიდნენ.

გუშინ, ბოლო ეტაპი ბარსელონაში გაიმართა. მართალია, ველოსიპედისტებმა ქალაქის ქუჩებში იქროლეს, მაგრამ შაბათთან შედარებით დისტანცია სამჯერ გრძელი იყო. აქ უკვე იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ იმარჯვა — 3:34.41, თუმცა საერთო ჩათვლაში, ისე როგორც ბოლო რამდენიმე ეტაპზე, არაფერი შეცვლილა.

ასე იყო თუ ისე, საერთო ჩათვლაში ყველაზე ესპანელმა რობერტო ერასმა აჯობა — 82:22.55. მეორე-მესამე ადგილებზე ძველებურად რუსი დენის მენშოვი (+4.36) და ესპანელი კარლოს სასტრი (+4.54) დარჩნენ.



AFP ბარისელიდან
რობერტო ერასი, კარლოს სასტრი და დენის მენშოვი

# ძაან ბიჭები




AFP პასადენიდან

სტუდენტთა ამერიკული ბურთაობა: პასადენა, როუზბაულის მინდორი. იუსიელეის „დათვებმა“ პირველი თაჩდაუნი დაუდეს ოკლაჰომელებს და ნახეთ, როგორ ხტიან. საბოლოოდ დათვებს მოუგიათ, 41-24.

# დასცხე!



AFP ლოს ანჯელესიდან

ჯერ ნჰლ-ს რეგულარული არც კი დაწყებულა, დამშეული ჰოკეისტები კი გამახურებელ თამაშში დაერიენ ერთმანეთს ანაჰაიმელი კიმ ბრენანი და ლოს ანჯელესელი რაიან ფლინი შარშანდელი უქმობის შემდეგ მუშტით შეეგებენ ერთმანეთს.

# მარათონის გოგო და ბიჭი

აი, მოცურავენი: ჰოლანდიელმა მაარტენ ვან დერ ვეიდენმა ხელში აიტაცა გერმანელი ბრიტა კამრაუ. სიხარული გასაკვირი არ არის, ორივემ, თავთავისწილი ცურვის მარათონი მოიგეს ფუკუოკაში, სამურაითა ყურეში.



AFP ფუკუოკადან

# სამეფო კლუბში

ბარსელონაში ლონჟინესის თასი თამაშდება პოლოს სამეფო კლუბში. ბელგიელ ლუდი ფილიპარს იმედი აქვს, რომ ის და მისი კირა III ყველაზე უკეთ გადალახავენ დაბრკოლებებს.



AFP ბარსელონიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge